



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელას-მოწერა მაიდება: თფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.**

შინაარსი. მთავრობის გამოცხადება.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბავი—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—წერილი ბელგიიდან (შემდეგი) ლ. დ—სი—მისის ღამე, ლექსი დარია ხუნდაძისა.—ფეფემიას ოცნება, მოთხრობა ლალიონისა.—ქართული ლიტერატურა მე-XIX ს. (დასასრული) ი. გომართელისა.—ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის კრება.—მკითხველთა წერილები.—წერილი რედაქციის მიმართ.—შეცდომის გასწორება.—განცხადებები.

ვ გამ. „კავკასი“-ში მთავრობა აცხადებს შემდეგს:

„კვირას, 22 აპრილს, ადგილობრივი ფაბრიკების, ქარხნების და სახელოსნოების მუშებმა უწყისობა მოახდინეს ერთ წოდებულ „საღდათების“ ბაზარზე. წესიერების დამრღვეველთ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ კვირაობით ბევრი ხალხი იყრის თავს ხსენებულ ბაზარზე და შეუშინებულათ, ვითომ და სავაჭროთ, ერთათ თავი მოიყარეს 300-დან 400-მდე კაცმა. დილის 11 საათზე რამდენიმე მათგანმა, მანიფესტანტების თავის მოსაყრელათ და ცნობის მოყვარეთა ყურადღების მისაქცევათ, ხმაურობა ასტეხეს; ერთად შეჯგუფების შემდეგ ამართეს წითელი აბრეშუმის დროშა და წამოვიდნენ „კნიაჟესკი ნომრებიდან“ გოლოვინის პროსპექტისაკენ. პოლიციამ წინააღმდეგა მისცა ხალხს დაშლილიყო, ამასთანავე ბოქაულის თანაშემწემ გედევანოვმა და რანდენიმე პოლიციელმა სცადეს წითელი დროშის წართმევა, მაგრამ მათ ცემა დაუწყეს მოკლე ჯოხებით, რომელნიც თან მოეტანათ. ზოგიერთებმა ხანჯლებიც იძრეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელების რიცხვი დიდი არ იყო, დროშა მაინც წაართვეს მანიფესტანტებს. აღელვებული ხალხი წინ-წინ იწევდა, თან მიათრევდა გულ-შემოყრილ გედევანოს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა პოლიციას. ბაზარში თავ-მოყრილ საღდათებმა და ზოგმა ადგილობრივ მცხოვრებთაგანმაც, როცა დაინახეს პოლიციელების გაქირვებული მდგომარეობა, ენერგიული დახმარება აღმოუჩინეს მათ. მოხდა საერთო შეტაკება, რასაც შედეგად მოჰყვა ორივე მებრძოლ მხარეების რამდენიმე პირის დაშავება. ამ დროს მანიფესტანტებიდან ექვსი რევოლვერი გავარდა—დაიჭრა პოლიციელი კიტანცევი გვერდში და მხარში. პოლიციისა და საღდათების შეერთებულის მეცადინეობით ხალხის მოძრაობა შეჩერებულ იქმნა. ამ დროს ცხენით მოიჭრა პოლიციისტიერი, რომელსაც თან მოს-

დევდნ ცხენოსანი პოლიციელი და დარაჯები. ამათ შეიპყრეს უმთავრესი დამნაშავენი და სრულებით გაფანტეს მანიფესტანტები. ამასობაში მოვიდა გუბერნატორიც, რომელსაც თან ახლდნენ ჟანდარმები და ხელმძღვანელობდა წესიერების ჩამოგდებას. ამავე დროს მოვიდა გუბერნატორის მიერ გამოწვეული 1-ლი კავკასიის საპიორნი ბატალიონი და 30 ყაზახ-რუსი; ესენი ხელს უწყობდნ ქალაქის ამ ნაწილის დამშვიდებას. უწყისობა დაწყებიდან დასრულებამდის გაგრძელდა 15 წამი; გაცხარებული შეტაკება გაგრძელდა 8 წამი.

იმ პირთაგან, რომელნიც ხელმძღვანელობდნ მანიფესტაციას, პოლიციამ შეიპყრო ადგილზე 41 კაცი, უმრავლესობას შეადგენენ მუშები, ამათ შორის არიან ხარკოველი სტუდენტი და შსტუდენტი-ქალი, რომელნიც პეტერბურგიდან გამოუგზავნიათ უკანასკნელ არეულობათა გამო.

რამდენათაც ეხლა გამოირკვა, არეულობის დროს დაშავებულან: 1) პოლიციისტიერი კოვალევი, რომელმაც გაიტეხა შუხლი, როცა ქენების დროს ცხენი წამოექცა; 2) ბოქაულის თანაშემწე გედევანოვი, რომელსაც დაშავებული აქვს ხელი და მარცხენა გვერდი მძიმეთ, მაგრამ არა საშიშრათ; 3) ზემოთ ნახსენები პოლიციელი კიტანცევი და რამდენიმე სხვანი, რომელთაც მიიღეს რამდენიმე მსუბუქი ჭრილობა.

მანიფესტანტებთაგან დაშავდა მძიმეთ—მამალაძე, რომელმაც რევოლვერი გაისროლა, და ცოტა მსუბუქათ—მედროშე; ცოტათ თუ ბევრათ დაშავდა, ნახსენებთა გარდა, კიდევ ცხრა კაცი“.

შინაური მიმოხილვა.

აღვა ხანა ჩვენი საზოგადოებათა კრებისა და ბჭობისა. ჯერ-ჯერობით საყურადღებოა ორი კრება:

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის — 29 და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის — 24 აპრილს. პირველნი მოწვეულია თავად-აზნაურთა ქონების საქმეთა გამოსარკვევად და მათ შორის ქარ. დრამატ. საზოგადოებას და ქარვასლის გამგე კომისიას შორის ამტყდარი დავის დასაბოლოავებლათ. ეს დავა აგერ რამდენი ხანია იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და მოუთმენლათ ელიან მის გადაწყვეტას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავად-აზნაურთა კრება თავისი ახალი წინამძღოლით ამ კითხვას ფორმალურათ არ შეხედავს და დრამატიული საზოგადოების ბედ-იღბალს გულმტკივნეულობით მოეკიდება. გამგე კომისიის თითქმის ყველა მაშინდელი წევრი ამბობს, რომ დრამ. საზოგ. გამგეობასთან ფორმალური პირობის შეკვრა ვერ მოვასწარით, მაგრამ სიტყვიერი პირობა გვექნდაო. კომისიის მიერ მიცემული სიტყვა იგივე თავად-აზნაურობის მიერ მიცემული სიტყვაა და, თავის-თავათ ცხადია, ამ სიტყვას კრება ვერ გადავა. კრებას შეუძლია კომისიას უსაყვედუროს, რატომ მიეცი ისეთი პირობა, რომლის ასრულება არ შეგეძლოვო და ამ შემთხვევაში ის მართალი იქნება; მაგრამ მას არ შეუძლია უსაყვედუროს დრამ. საზოგადოებას, რატომ ენდვეი კომისიას და მისი სიტყვა სიტყვათ მიიღეო, ვინაიდან ეს იქნებოდა უნდობლობა იმ კრებისა, რომელმაც კომისია ამოირჩია. თავად-აზნაურობა ირჩევს კომისიას, მაშასადამე კომისიის მოქმედებაში გარეშე პირების წინაშე პასუხის მგებელია თავად-აზნაურობა, ხოლო კომისია კი პასუხის მგებელია თავად-აზნაურობის წინაშე. ამ უკანასკნელს შეუძლია კომისია, როცა სურს, დაითხოვოს და ახალი აირჩიოს. მაგრამ მას არ შეუძლია კომისიის მიერ მიცემული პირობა მესამე პირზე კომისიასთან ერთათ დაარღვიოს და ახალ პირობის შეკვრა მოითხოვოს. აშკარაა, ქარვასლის გამგე კომისია მტყუანია თავად-აზნაურობის წინაშე გაცემული პირობის შესრულებლობის და მით ზარალის მიყენებისათვის, ხოლო დრამატიული საზოგ. გამგეობა მართალია როგორც კომისიის, ისე თავად-აზნაურობის წინაშე, როცა ამ ზარალის აღდგენას თხოულობს. იმედია 29 აპრილის კრებაც ამ თვალით შეხედავს ამ დავას.

* *

დღეს ყველას შეგნებული აქვს ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განვითარებაში სახალხო კითხვებს. დასავლეთ ევროპაში მრავალი საზოგადოებები არსებობენ განსაკუთრებით იმისთვის, რომ თავისი ქვეყანა კიდის-კიდემდე მოელოს და სახალხო კითხვები გამართოს. აქ ასეთი მოქმედება სრულიად შეუზღუდველია. ჩვენში-კი ამ საქმეს ბევრი დაბრკოლება ელოდება წინ და მის გაფართოებას ხელს უშლის. ეს დაბრკოლებებია რამდენიმეთ შეავიწროვა ახლათ გამოცემულმა უმაღლესათ დამტკიცებულმა წესებმა. აქ საყურადღებოა ის, რომ კითხვის გამართვის ნება შეიძლება მიეცეს კერძო პირთ, საზოგადოებებსა და დაწესებულებათ, აგრეთვე ფაბრიკებს და ქარხნებს თავისი მუშებისათვის. ხოლო ნებართვის აღება შეიძლება სახალხო სკოლების დირექტორისაგან. ეს უქვევლათ სახალხო კითხვის გამართვის გაადვილებას ნიშნავს და საქროა ამით ისარგებლონ ჯეროვანათ. რამდენათაც ვიცით, ჩვენში ჯერ არ არის სახალხო კითხვები სისტემატიურათ დაწყობილი და ეს არა მარტო სოფ-

ლებში, არამედ ქალაქებშიაც-კი. თფილისში სახალხო კითხვები უკვე დაწყებულია ქართულ ენაზე ჯერ არა ყოფილა, თუმცა სახალხო კითხვათა კომისიაც არსებობს. ახლო მთინე უნდა იმეცადინონ ვისაც ეს საქმე უტვირთიათ სახალხო თეატრთან აუცილებლივ სახალხო კითხვებიც სისტემატიურათ და უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე გამართონ. ქუთაისში ერთხელ კიდევაც მოინდომეს ასეთი კითხვების ნება-რთვის აღება და დაწყება, მაგრამ შემდეგ მიჩუმდნენ, არ ვიცით რა მიზეზით. ახლა დროა ისევ აღძრან ეს კითხვა და სისრულეში მოიყვანონ.

* *

მეტათ საკვირველი განხეთქილება ჩამოვარდა ბაქოს ქართველთა შორის ბიბლიოთეკის გამო. მოსალოდნელი იყო, რომ ეს კულტურული დაწესებულება შეაერთებდა ყველა სინათლის მოტრფიალეთ, მაგრამ ბაქოში ასე არ მოხდა. აქ შემდგარა ორი პარტია და ორივე ერთმანეთს ებრძვის ბიბლიოთეკის საქმეებში. ერთ მხარეს—უმცირესობას—თავისი თავი დაუსახავს წერა-კითხვის საზოგ. ბაქოს განყოფილებათ და ამის ძალით ბიბლიოთეკის მთელ ქონებას დაპატრონებია, თუმცა გასული წლის დეკემბრის 31 ბიბლიოთეკაში განცხადება გამოაკრეს: პირველი იანვრიდან შესაძლოთ ვერ ესცნობთ ბიბლიოთეკა ვმართოთო. მეორე მხარეს—უმრავლესობას—ახალი ბიბლიოთეკა გაუხსნია და იწვევს საზოგადოებას თავისკენ. ბიბლიოთეკა პირველთა ხელში მოკვდა, ხოლო მეორეთა ხელში აღსდგა. ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო უნაყოფო დავა მოესპოთ და ახალ გახსნილ ბიბლიოთეკას შეერიგებოდნენ. მაგრამ, როგორც „კავკაზში“ დაბეჭდილ კორესპონდენციიდან სჩანს, ეს დავა კიდევ უფრო გამწვავებულა. ჩვენ დღემდის ვერ გავიგეთ, რა არის მიზეზი ასეთი დაუსრულებელი დავიღარაბის. თუ ეს პირადი ინტერესებია რამდენიმეთა, განა ძნელი იქნებოდა ამათი სრულიად გამორიცხვა ბიბლიოთეკის საქმეებისაგან და საერთო თანხმობის ჩამოგდება! და თუ ამ ბრძოლას რაიმე საზოგადო სარჩული აქვს—განა ეს საზოგადო საქმის დანგრევაში უნდა გამოიხატოს? ბრძოლა პარტიათა შორის სასარგებლოა, როცა ამით თვით საქმე უმჯობესდება და კეთდება, ეს ასეა ყოველგან; ხოლო ბაქოში-კი ბრძოლა გამოუგონიათ საქმის დასაფუძვლათ და ერთი მეორისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლათ. დროა, ბაქოს ქართველობამ ამას ჩაუფიქრდეს და ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოვიდეს...

სხვა-და-სხვა ამბები.

კითხვებზე უკვე უწყიან, რომ მთავრობამ ნება დართო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამართოს ამა წლის შემოდგომამხედ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულებისა და სამეურნეო საზოგადოების 50 წლის არსებობის სახსოვრათ. ამასთან მთავრობამ დაამტკიცა პროგრამმა და წესები მომავალ გამოფენისა. სამეურნეო საზოგადოებამ განსაკუთრებული კომიტეტი დანიშნა, რომელმაც კომისართან, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილთან, ერთათ უნდა გამართოს და მოაწყოს გამოფენა.



გამოფენა დაიწყება ტფილისში ამა მიმდინარე წლის 20 აგვისტოს და გასტანს 20 ოქტომბრამდე. შემდეგი განყოფილებანი ექმნება გამოფენას:

- 1) მიწად-მოქმედება, 2) მევენახობა და მეღვინეობა, 3) საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები, 4) დეკორატიული ბაღოსნობა, 5) ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა, 6) ტყის მოვლა-მოშენება, 7) შინაური ფრინველი, 8) მერძეობა და საქონლის მოვლა-მოშენება, 9) მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა, 10) მე-თევზეობა და მონადირეობა, 11) სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები, 12) შინა და სახელოსნო მრეწველობა, 13) საქარხნო მრეწველობა, 14) სამთო მრეწველობა, 15) საპედაგოგო-საპროფესიონალო განყოფილება, 16) სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება, 17) საშხატერო განყოფილება.

გამოფენაზედ მხოლოდ კავკასიის ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება. გამგე კომიტეტს პროვინციაში თავისი აგენტები ეყოლება. იმათ, ვისაც ჰსურს გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ, უნდა მიჰმართონ ან ამ აგენტებს არა უგვიანეს 1 ივლისისა, ან თვით გამგე კომიტეტს არა უგვიანეს 15 ივლისის, გამოუცხადონ თავიანთი სურვილი და შეატყობინონ, რაგვარ ნაწარმოების გამოფენა აქვთ განზრახული. გამოსაფენი ნაწარმოები წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს. გამოფენის წინა დღეებში მხოლოდ ისეთი საქონლისა და ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება, რაც მალე ფუჭდება. გამგე კომიტეტი პასუხის მგებელია პატრონების წინაშე, თუ რამე წახდა, ან გაფუჭდა გამოფენაზედ. ექსპონატები პატრონებმა თავიანთი ხარჯით უნდა გამოგზავნონ და გამოფენის შემდეგ უკანვე წაიღონ. ადგილი უსასყიდლოთ ეთმობათ ექსპონატების დასაწყობად; თუ პატრონმა იმ ადგილზედ მეტი მოისურვა, რასაც გამგე კომიტეტი მიუზომავს, მაშინ ფასი უნდა გადაიხადოს.

საპედაგოგო და საპროფესიონალო განყოფილება, სადაც დაიწყება სოფლის სკოლებისა და საპროფესიონალო სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ გაკეთებული ნივთები და სოფლის ნაწარმოები, მოთავსებული იქმნება განსაკუთრებულ პავილიონში, ადგილის ფასს ეს სკოლები და სასწავლებლები არ გადაიხდიან. გამოფენაზედ შეიძლება ექსპონატების გაყიდვა იმ პირობით-კი, რომ ადგილის ფულიდან 5% გამოფენის სასარგებლოთ უნდა იქმნას გადადებული. ექსპონატების დასაფასებლათ განსაკუთრებული საექსპერტო კომისია შესდგება, რომელიც ღირსეულ ექსპონენტებს ქაღალდებს ღიურივებს: საპატოო ღიბლომებს, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს და ქების ფურცლებს.

გამოფენა 20 აგვისტოდან ყოველ დღე იქნება ღია საზოგადოებისათვის. პირველ სამ დღეს შემსვლელთ უნდა გადაიხადონ თითო მანეთი, შემდეგ დღეებში: კვირაობით—10 კაპეკი, ხუთშაბათობით—50 კაპ., დანარჩენ დღეებს—20 კაპ. მოსწავლეებს თავიანთ მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან ერთათ დანიშნულ დღეებში უსასყიდლოდ შეუშვებენ.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყო-

ველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დღის 10-დგან ნაშუადღევს 3 საათამდე.

ექვსს მაისს გაიმართება სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოღვა თადეოზის ასულ ქავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართვ. შორ. წერ. კითხვ. საზოგადოების“ კანცელარიაში სასახლის ქუჩაზე, თავდაზნაურთა ქარვასლაში.

ახლად დაარსებულ ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში ჩაწერილა უკვე 30 წევრი, რომელთაც შეუტანიათ 6,000 მანეთი.

წარსულ კვირას კონკაზედ ვიღამაც დანით მოკლა თბილისის მოქალაქე მეღვინეოვი. მკვლელი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ, მხოლოდ გამოიჩვენა, რომ მეღვინეოვის მკვლელობის მიზეზი ყოფილა მის მიერ უდიერათ მოპყრობა იმ ღარიბი ხალხისა, რომელიც თურმე ცხოვრობენ მეღვინეოვის მამულზე ვერაზე.

რადგანაც ნავთის ფასმა შესამჩნევათ დაიკლო, ამიტომ ბაქოს ბევრმა წვრილმა მწარმოებელმა მუშაობა შეამცირა, რასაც ზედ მოპყვა აუარებელი მუშების უსაქმოდ დარჩენა და სამუშაო ფასის შემცირება.

სათანადო მთავრობას განუზრახავს დააარსოს თბილისში სემინარია, რომელშიაც სპეციალურათ მოამზადებენ მასწავლებლებს სამრევლო სასწავლებლისათვის.

როგორც თბილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი აცხადებს, წელს, ვაკანსიების უქონლობის გამო, ხსენებულ სასწავლებელში არ მიიღებენ მოსწავლეებს უფროს მოსამზადებელ და პირველსა და მეორე კლასებში.

დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება „პეპო“ კომ. სუნდუკიანკისა. წარმოდგენას მართავს ქარ. დრამატიული საზოგადოება ნიშნათ ამ პიესის 30 წლის არსებობისა ქართულ რეპერტუარში.

თბილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს წარუდგინოს მას თვით-მმართველობის აღმასრულებელ ორგანოებისთვის შედგენილი ინსტრუქცია და ფუნქციონერის პროექტი.

საქიმიო გამგეობას კიდევ მოსდის ფარმაცევტების თხოვნები ქალაქში ახალ აფთიაქების გახსნის შესახებ.

თბილისის სახალხო სახლის ამშენებელ კომიტეტს გადაუწყვეტია შენობისათვის შეიძინოს ის მამული, რომელიც იმყოფება კირონი ქუჩაზედ და ამ ყამათ ველოსიპედთა სავარჯიშოთ ხმარობენ.

მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტს მოუვიდა აუ-

არებელი თხოვნა სხვა-და-სხვა ფორმების და კერძო პირებისაგან პავლიონებისთვის ადგილის დასაქვრათ, ისე, რომ კომიტეტს ამ ყმათ თავისუფალი ადგილები ძრიელ ცოტა-ლა დარჩა.

მ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ ი ზ ი.

ს. ხ ე ვ ი. (გურია). 16 აპრილს ს. ხევში (ერკეთის საზოგადოება) ამოვიდა ოსურგეთის მაზრის უფროსი ბ. ი. ა. ლახარევი. ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა (ს. ხევში ოსურგეთის მაზრის მმართველის მოსვლა) გამაწყველია ერკეთის მამასახლისის თხოვნით ერკეთიდან ბანმარმდე გზის გაყვანის შესახებ.

არ შეგვიძლია აქვე ორივე სიტუვს არა ვთქვათ ამ მამასახლისზე. როგორც მოგვხსენებთ, ჩვენში, სმწუნხროთ, ჯერ კიდევ მამასახლისთ არჩევა ხვდება იმისთანა კაცებს, რომელნიც ღმერთს დაუჯილდოვების ახოვანის ტანით და კია „ღარდილი“თ, მიუხედავთ იმისა, თუ როგორ შეუძლიათ მათ სოფლის საქმეების მართვა. ეს არ ითქმის ერკეთის მამასახლისზე. ის სოფლის საქმეებში ძლიერ გამოცდილია და საჭიროებისამებრ მთავრობასთანაც წარდგომა შეუძლია; თუმცა დიდი ხანი არ არის მამასახლისათ, მაგრამ ახლავუ დაატეო რამდენიმეთ კვალი სოფელს თავის მოქმედებით. უმთავრესი საჭიროება ესწინდელ დროში სოფლისათვის, როგორც მოგვხსენებთ, არის სწავლა-განათლების გაგრძელება და მისვლა-მოსვლის გაუმჯობესება. ამ ორსავე მხრით თავი იჩინა ხსენებულმა მამასახლისმა. მისი თხოვნა ახალი გზის გაყვანის შესახებ დიდათ საურსადგობა და სწორეთ ამ საქმეს გვერდს გაყვანათ დღეს მკითხველები. ერკეთის გზა გაივლის სს. ხევში, ნაბეღაღში, ქვაბლაში, ზოტში და იქიდან ატარის მთით („გძელი გარი“) გადადის ახალციხეში. (ეს გზაც გადას აგრეთვე ს. ნაბეღაღიდან „ბანმარმზე“). ამ გზას მთელი გურიისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ იგი კარგათ სავალი იყოს: ერთი რომ „გძელი გარი“ ან „ღომის ციხე“ ისეთივე და უკეთესიც საავარკო ადგილები იქნებოდენ, ვინემ ესლა „ბანმარმა“; მეორე—დიდათ გადავიდებოდა ის გაჭირვება და წვალება, რომელიც ხვდება ახალციხიდან გურიაში სავალს საქმლის გადმომრეთ, რადგანაც, თუ-კი გზა იქნებოდა, მთავრობაც სხვა შემოსავლელ გზების მაგორათ აქიდან დართავდა საქმლის გადმომრეთის ნებას. აგრეთვე გადავიდებოდა ხე-ტყის გამოზიდვა „ზოტისა“ და სხვა მდიდარ ტყეებისაგან და ეს დიდათ წასწავლა წინ ადგილობრივ მცხოვრებთა საქმეს.

როგორც ვიცით, მთავრობას განზრახული ექნება გაყვანა სურტლო გზა „ბანმარმზე“ ს. ბანვიდან ს. ვაგის-ჯვართ; ინიერების შემოწმებით, ამ გზის გაყვანა დაჯდება ა. ი. ა. მანუთამდის; ხოლო ერკეთიდან ბანმარმდე ამ გვარზე გზის გაყვანა უფრო მხერხებულა და მითხროვს ერთი ოთხთ ნაკლებ ხარჯს. ამის შესახებ ადრე შეამდგომლობა სათანადო მთავრობასთან ხსენებულმა ერკეთის მამასახლისმა, მაგრამ ჯერ გარდაწვევტილი ზსუხი არ მიუღია. ახლა-კი მას შემწეობა აღუთქვა ბ. მაზრის უფროსმა. თავის მხრით, რომ მთავრობასაც დახახოხთ თავის ზღანის უმირატესობა უწინდელ ზღანთან შედარებით, და აგრეთვე, რასაკვირველია სოფლებსაც გაუადვილეს მისვლა მისვლის საქმე. მან მიჰყო ხელი ხსენებულ გზის შეკეთებას: გაიყვანა ზოგან ახალი, უფრო სწორი გზები, გამოთხრა იმი-სანა კიკობო კლდეები, სადაც ამდენხანს ცხენოსანს-კი არა ქვევით კაცსაც დიდი სიფრთხილით და შიშით მართებდა გასვლა,

გაკეთა ხილები და ამით დაიმსახურა მადლობა როგორც თავისი საზოგადოების და მრავალ მგზავრებისაგან, აგრეთვე ბ. მაზრის უფროსისაგან და ადგილობრივ პოლიციის პოქულისაგან.

თ. მეგრულიზვილი;

ს საროიჭალა (თეალისის მაზრა). ჩვენკენ მშვიდობიან-მა და მეტათ თბილმა სამთარმა გაარა. აქ ბევრს ჰყავს ცხვარი, რომელმაც ამ მშვიდობიანი სამთრის გამო ძლიერ კარგი დოლი აიღო. ვენახები და ბაღები აქ ცოტა არის და რაც არის, ისიც უოველ წელიწადს სხვა-და-სხვა სენით. აქაური გლეხ-კაცი უფრო საქმლის მოშეხებას ეტანება და ხვნა-თესვას. ამ სოფელში თითქმის ყველას აქვს ორი-სამი დღის ყანა, მაგრამ უბედურობა ესაა, რომ აქაური გლეხი მოსავლის მესამედ ნაწილ-საც ვერ შეიტანს თავის ყანაში, რადგანაც მისი მოსავალი თითქმის სულ ჩარჩ-ბაცატებს მიაქვთ და უმეტესათ მიკიტანს. დადგება თუ არა აგვისტო და განმირდება კალაები, დანახავთ კალაებისკენ მიმავალს მიკიტანს თავის ცამეტ გირვანქიანი ლიტრიანით, რომელსაც ბეჯითად ატრიალებს ჰურის წვევაში. ეს, რასაკვირველია, თავის ცაცემულს ნისიას შეისრულებს უნაკლულ-ლოთ, რადგან ხობრბლს ლიტრას აბაზ მეტათ აიღებს—იმასაც კენესით. აქ თუმცა არის პატრე-ცემული მამასახლისი, მაგრამ ესეც გლეხების აზრს ეთანხმება. როდესაც გლეხები შეიერებიან მიკიტნის დუკანში სასმელათ, მამასახლისი უთუთთ თამადათ უნდა აიჩიონ. აქაურ მამასახლისის ადღებმა მაშინ არის, როდესაც გლეხებს დავა, საჩივარი ან ჩხუბი აუტულებათ: ღვინო და ფული ჩექივით მოუდის მაშინ. ნუ გიფიქრათ, რომ გლეხ-კაცს უბრალო ვადის ბართი უფასოთ შეუმოწმოს! უსამართ-ლობა ბევრი ტრიალებს ჩვენში. სამართალი იმისკენ არის, ვინც სამიკიტნოში სადილს გაჭმართავს, ვინც ვერა, ის გამტუნდება, ვინც ცამდის მართალი იყოს.

ცხენიანი მგზავრი.

რ უ ს მ ი მ ს ს ხ მ ვ რ მ მ ზ ა.

მ დესა. ამ მოკლე ხანში აქ გაიხსნება პირველი საარტუ-ლო ფაბრიკა თამბაქოს წარმოებისა. არტელის წვერები არიან სამოცი კაცი. ისინი სხვა-და-სხვა ფაბრიკებში მუშაობდენ, თავის ჯამაგირიდან ერთ ნაწილს ინახავდენ ფაბრიკის ფონდისათვის და ხანევარი წლის განმავლობაში იმდენი ფული შეგროვდა, რომ ახლა ფაბრიკის დაარსებაც შეიძლებს. სახლი, ორ-სართულიანი, თითქმის უკვე მზათ არის; პირველი სართული საწყობი იქნება, მეორე-კი სამუშაო.

გარმაგა. ადგილობრივ კახეთების სიტუვით, აქედან ზრუსიაში სამუშაოს მოსახოებლათ უკვე 200,000 მუშახე მეტი გადასულა. დიდ ძალი მუშა გადასულა ზრუსიაში გა-ლიციიდან, ასე, რომ ზრუსიაში დღეს მუშა ცაცილებით მე-ტია, ვიდრე სამუშაო.

პეტრბურგში დაარსდა სამეურნეო სინდიკატი, რომელ-საც მიზნათა აქვს, რუსეთის მეურნეები პირ-და-პირ დაუკავში-როს ევროპის სხვილ ბაზრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხი-ლავს კითხვას საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ უველს იმ გუბერნიებში, სადაც ჯერ ერობა არ არსებობს.

8 აპრილს პეტრბურგში გაიხსნა ვექილთა თანამშეწეების კონსულტაციის მეხუთე კანუოფილება. ღარბობათვის კონსულ-ტაციის უფასოა.



სარკოვის გუბერნიის ზოგიერთ სამხრეთ ქალაქებში მიზნათა აქვთ დაარსდნ გლეხთათვის იურიდიული დახმარების ბიურო. ამგვარ ბიუროებში შედგებიან სხვა-და-სხვა დოკუმენტებს, რჩევა-დარიგებებს მისწვდებიან გლეხებს და სხვ.

14 ანრილს სარკოვის სასამართლომ განიხილა საქმე გიმიანის მურვე კლასის მოსწავლე ივანოვის, რომელმაც წარსულს წელს 21 აგვისტოს გიმიანის დირექტორი ტიხონოვიჩი მოკლა. კესპერტობთ მოწვეული იყო რამდენიმე პროფესორი—ფსიხიატრი, დამსმავუ 22 წლისა, ავთიმოფის სახის უმწველი კაცია. მათ თვე ის იმყოფებოდა საავთიმოფოში, სიდაც ის სულით ავთიმოფოთ იტყეს. მალევე დაადგინა: ივანოვი ერთი წლის ვადით მშობლებს მიეცეს გასასწორებლათ.

ბესარაბიის ზოგიერთ გუბერნიებში ამ წაშთ სამიხელი შიმშილობაა, რადგანაც წარსული წლის მოსავალი ერთობ ნაკლები იყო; სიში ფუთის ნათესი სიმინდი მხოლოდ ას ფუთს იძლეოდა და ასი ფუთის ნათესი ზური მხოლოდ 8—10 ფუთს; ამის გამო შინაური საქონელი ზოგი კაიიდა, ზოგი უსაკუბობისა გამო დაიხრცა და ის გლეხებიც კი, რომლებიც მდიდრებთ ითვლებოდნენ, მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილან.

საფაბრიკო მრეწველობის საქმე ქალაქ ზენზაში ამ წლის დამდეგს შემდეგ მდგომარეობაში ეოფილა: ფაბრიკებისა და ქარხნების რიცხვი უდრიდა 61, მათში მუშები ეოფილან 3.045. მათი მდგომარეობის განუშჯობისებლათ მეფაბრიკებს ძლიან ცოტა ზომები უხმარათ. მხოლოდ ერთჯან ეოფილა სასწავლებელი მუშათა ბავშებისათვის და საავთიმოფო თავისი ექიმით.

კიევის კაცუთებში გამოქვეყნებულია კიევის სამხედრო გუბერნატორის ბრძანება, რომლითაც აღკრძალულია ხალხის ერილობა და დემონსტრაცია ქუჩებში, მოედნებზე და ბუფვარზე და რომელიც ბრძანებს, რომ ხალხი დაიშალოს ზოლიციის მოთხროებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოწვეული იქნება ჯარი და დამსმავნი იქნებან დეტუსლებული, ან დაჯარიმებული ფულით.

უმაღლესათ დამტკიცებული კარდაწვევტილება მინისტრების კომიტეტისა სახალხო კითხვების შესახებ:

სახალხო კითხვები, რომელთაც მთაწობენ კერძო ზირები, საზოგადოებანი, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, უნდა კაიმართოს შემდეგი წესით:

- 1) სახალხო კითხვები, რომელთაც კამართვენ კერძო ზირები, საზოგადოებანი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი. მათ შორის ფაბრიკები და ქარხნები თავიანთ მუშათათვის, როგორც სახალხო განათლების ერთი საშუალებათაგანი, უნდა იყოს განათლების მინისტრის ხელმძღვანელობაში.
- 2) სახალხო კითხვები იმართება დასტამბულ თხზულებებით, რომელიც ნება-დართულია ამ საქმისათვის სახალხო განათლების მინისტრისაგან, ან და სახალხო კითხვების მუდმივი კომიტეტებით; ამასთან შეიძლება ზე-ზირათ ვადმცემა წასაკითხ თხზულებისა, ხოლო არ უნდა გამოვიდეთ მინი მინარისის ფარგლიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამავე წესებით შეიძლება წაიკითხოს ისეთი ნაბეჭდი თხზულება, რომელიც არაა ჩარიცხული დამტკიცებულ კატალოგში, აგრეთვე ხელნაწერებიც, მხოლოდ იმ ზირებით, რომ ეოველ ასეთ შემთხვევაში სათითაოთ უნდა ნება დართოს სახალხო შკოლების დირექტორმა.
- 3) სახალხო კითხვების ნებართვან იძლევა სახალხო შკოლების დირექტორი. სახალხო კითხვების ნებართვის მინაღებ თხროვნაში უნდა იყოს აღნიშნული კითხვების განმარტავი დრო და ადგილი და აგრეთვე წაიკითხავი ზირები; ხოლო სახალხო კითხვან მართვენ ისეთი ზირები, რომელთაც კითხვე-

ბში მინაწილეობის წინააღმდეგ არ იქნება გუბერნატორი. გუბერნატორის შენიშვნას კითხვების დროს და ადგილის უვარგობის შესახებ აგრეთვე აქვს კარდაწვევტი მნიშვნელობა.

და ზირთამ მინარისის მოწვევტილება ცოცხალი მრეწველნი წინააღმდეგ ს ა მ რ ე ა რ ე ა რ ე ე თ.

საზრკანგითი. ამას წინეთ დეკემბრში მოიტანა ამბავი, რომ ალკოლის ერთი მაზრის შვეიდრნი აჯანყდნ და თავს დაესხნ ფრანგებისა. ახლა ერთ ფრანგულ კაცუთში აწერილია მიწეტი ასეთი აჯანყებისა. „ვინც იცის, ამბობს კაცუთი, როგორ განკვეთნ ალკოლის მაზრის, ეს აჯანყება არ გაუვირდება. თვითველ მაზრას აქვს თავისი საკუთარი ამარჩეული საბჭო, რომლის სათავეში დგას მთავრობის მიერ აღნიშნული მოხელე. სახამ მაზრაში მხოლოდ ადგილობრივი შვეიდრნი (არაბები) ცხოვრობენ, ხმადგელი მათი ბატონი—ეს მოხელეა. მაგრამ როცა აქ სახლდებთან კოლონიტები (ფრანგები), რომელთაც უფლებათ აქვთ თავისი წარმომადგენლები ეოლიონ საბჭოში, ეს ბატონობა იოთვა მოხელის და ამ ჩამოსახლებულითა შორის. საბჭოს სხდებებზე ერთი მხრით დგანან შვეიდრნი, მეორე მხრით ჩამოსახლებულნი, ზირველთ არ ესმით ფრანგული, მეორე არაბული; კანონით თვითველის სიტუვა თარჯიმანის საშუალებით უხდა ითარჯმნოს, მაგრამ ხმადგელათ-კი ეს ასე არ არის. ჩამოსახლებულნი მოიღწარაკვეთნ ერთმანეთშირის და თავის ვადწვევტილებას აკებინებენ მოხელეს და ამასაც, ვითამ-და ეს საბჭოს ვადწვევტილება, სისრულეში მოყავს. ამ ხირათ სმირათ რამდენიმე ჩამოსახლებული ბატონობს 30—40 ათას შვეიდრზე“. ასეთ ზირებებში აჯანყება მოვალეობათ.

გერმანი. გერმანიის მეფეთ ჩვეულებათათ აქვთ ტახტის შემვეიდრე უნივერსიტეტში შეიუფანს სტუდენტათ და ვაათავებიონ. ახლანდელმა იმპერატორმა ვილჰელმმა ვაათავა უნივერსიტეტი ქ. ბონში 1879 წ., ხოლო მამა მისმა ფრიდრიხმა 1852 წ. და აი, წელს იმავე უნივერსიტეტში ვილჰელმმა შეიუფანა თავისი უფროსი ვაჟი, 19 წლის ფრიდრიხ ვილჰელმი იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს სტუდენტათ ჩანიშნა მოხდა დიდის ცერემონიით ქ. ბონში, რასაც დაესწრო თვით იმ ერატორი. ბოლოს სტუდენტობამ კამართა სადღესასწაულო ნადიმი და მიინატოვა იმპერატორი, შემვეიდრე და უნივერსიტეტის მთავრობა. ნადიმს დაესწრო მთელი სტუდენტობა. ერთმა სტუდენტმა სიტუვით მიმართა შემვეიდრეს და მიულოცა სტუდენტათ წრეში შემოსვლა. შემვეიდრემ დალია სადღეგრძელო სტუდენტობის და სსვათა შორის თქვა, რომ „დღეიდან ჩვენს შორის მკიდრო კავშირი მუარდებს და ეს დაჩქება ჩემთვის საუკეთესო მოგანბათა“. გრძელი სიტუვით მიმართა სტუდენტობას თვით იმპერატორმა და უსრფვა „სუფარულ ამხანაგებს“ (სტუდენტებს) დეგრძელობა და თავისი მოვალეობის აღსრულება. ტახტის შემვეიდრე ჩაეწერა წვერათ არისტოკრატული კონკლოციის „ბოროსისა“, სადაც, როგორც ერთი კაცუთი იწერება, უფრო ქეითში და დუელებში ატარებენ დროს. ამის გამო კაცუთები უჩვენენ შემვეიდრეს კაიხელს თავის კონკლოციის კარეშეც და კაცენს ხმადვილ ცხოვრებას.

— ზრუსიის არხის კაჭრის საქმემ საშინისტროში კრიზისი ჩამოკლა. ეს არხი ზრეკტიათ თვით იმპერატორის, ამთ ემხრობა ლიბერალური ზრტიებიც, ხოლო წინააღმდეგია შემამულე კონსერვატორები იმ მოსახრებით, რომ შეურნებობის ნაწარმების ვაათუებს ბახარზე. და რადგანაც ზოგი მინისტრი აგრარიების კაცები იყვენ, ცხდათ, ამთ უოყმანობა დაიწვეს



და ენერგიულად ვერ მოქმედებს ხელი ზრდასთან. ამისათვის იმპერატორს დაუთხოვია ეს მიწისტრები, (ფინანსთა, ვაჭრობის და შინაგან საქმეთა) და ახალი დაუნიშნავს.

იხსანია. ანტი-კლერიკალურ მოძრაობამ ჩართია არა მარტო საერო, არამედ სასულიერო პირებიც. რამდენიმე მღვდელს დაუარსებია საკვირაო გაზეთი ანტიკლერიკალურის მიმართულებით. ისინი ებრძვიან ზნეს, ბერებს, მიწისტრებს და ეკლესიის სახელმწიფოსთან დაკავშირებას. მათი მიზანია დარჩენი სამღვდიო კათოლიკეები და არა კლერიკალები. აი რას ამბობს ამ გაზეთის რედაქტორი მღვდელი: „კლერიკალებს უარყოფაა ფილანთროპიის, ისტორიის და გარეუყვანა ღვთის-მეტყველების; ის არის სამღვდიო განხორციელებული ანტი-ქრისტიანული. ჩვენ ვებრძვიით არა ქრისტიანს, როგორც ამის მოწინააღმდეგეები ვგაბრავდებოდეთ, არამედ ანტი-ქრისტიანს. არა თავისუფალ მთავრებს, არა მკვლავებს, არა ქრისტიანობის რამდენიმე სექტა არის წინააღმდეგე სამღვდიო ქრისტიანს, არამედ სწორედ ის „ქრისტიანები“, ის ღვთის მეთყველენი, რომლებიც ძალიან ბევრს ღვაწლავდებიან ქრისტიანებს და საქმიანობის წინააღმდეგ მოქმედებენ. სწორედ ნიკოლა მსოფლიო ორნამენტი: დემოკრატიული და ანტი-კლერიკალი. არის ქრისტიანული და ანტი-ქრისტიანული, სწორედ ქრისტიანული და ანტი-ქრისტიანული, სწორედ ქრისტიანული და ანტი-ქრისტიანული. და სხ. დონ ზეიმადექსის—სახელია გაზეთის რედაქტორის—უთქვამს, რომ ჯერ კიდევ 1898 წ. გამოვთქვა ჩემი აზრები, მაგრამ ეფრასიმოზების დევნა დაგვიწიეს მე და ჩემ ამხანაგ მღვდელს. შერე განვიზრახე საკუთარი ორგანიზაციის დაარსება. „ახლა ჩვენ ვთხოვდებით: ეკლესიის სახელმწიფოსგან განშორებას, რეფორმას, ან სრულიად გაუქმებას იესუხიტთა და სხვა ბერთა მიწისტრებისა; ეკლესიის ქანების გადატანას სახელმწიფოსთვის; ჩვენ ვფიქრობთ საკუთარ იმპანიის ეკლესიის დაარსებას, მსოფლიო დემოკრატიული ზედამხედველობა ექნება რომის ზნეს, დანარჩენი მისი უფლებები გადაეცემა იმპანიის სამღვდელთა. ჩვენ მოვითხოვთ ეპისკოპოსთა და ეკლესიის მადლ მისამსახურე პირთა ხელის მიერ არჩევას. ეს არის ამ ჟამათ ჩვენი იდეალია“.

იხსანის-ბრანსვალის ომი. ამ ომის მალე დასრულების ნიშანი ჯერ არსად ჩანს. ის ხმა, ვითომ ხელ-მეორეთ ზავზე მოლაპარაკება დაწყებულიყოს, ტყუილი გამოდგა. ცნობები, რომელიც ბრძოლის ველიდან მოდის, უფრო ინგლისელებისთვის არის საიმედო. 21 აპრილის დღეზე გვატყობინებს: „ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ კრიუგერს ავვისტოში ამერიკაში მოვილიან. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ კრიუგერის მოსვლა მეტათ გასახარია, მაგრამ ოფიციალურათ კი ვერ მივიღებთ“.

აი ყველაზე უფრო საყურადღებო ამბები ომის შესახებ გასულ კვირის განმავლობაში: 20 აპრილი: „კანზას-შტატო. წარსულ კვირას ბურების დიდი ჯარები თავიანთ გამოჩენილი სარდლების მეთაურობით გარდბის-ფონტენთან შეერთდნენ. ბაბინგტონი სრული ერთი დღე ბურების მშვენივრათ გამაგრებულ პოზიციებს თოფებს და ზარბაზნებს ესროდა და 15 აპრილს ბურები იძულებულ გახდნენ თავიანთ სიმაგრეებისათვის თავი დაენებებიათ“. 24 აპრილი: „კანზას-შტატო. ბურებმა დაიბანაკეს დეტუინთან, კენგორდებიდან დასავლეთით, და სვერტკოპზე, ბრანდფელდიდან 15 მილის მანძილზე დასავლეთით. ისინი სიმაგრეებს აშენებენ კაპის ახალშენის შუა ნაწილში. შვეპერსის, მალანის და გუგოს რაზმები მეტათ შევიწროებულნი, იძულებულნი გახდნენ დაეწიათ აღმოსავლეთ-


თისაკენ. მაიორმა კევემ, რომელიც კრუინციგერს დაუპირისპირდა, ამ უკანასკნელს ბრძოლა გაუმართა დრიფტინგ-ბრძოლაში. თან. ბურებმა დაკარგეს დაჭრილი ხუთი კაცი და 23 ცხენი. კრუინციგერის ჯარის ერთმა ნაწილმა რაინესთან დაწვა მატარებელი სანოვაგით სავსე“.

ჩინეთი. გენერლებმა, როგორც დეპეშები იუწყებიან, სხდომაზე შემდეგი აზრი გამოთქვეს ჩინეთში დასავლეთელებს ჯარის შესახებ: ტიანძინში და შანჰაიგუანში ევროპის სახელმწიფოთა გარნიზონები უნდა დარჩეს. გარდა ამისა იქვე გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და იაპონიამ უნდა იყოლიონ თვითმულმა 1400 კაცი; იტალიამ—400, შანჰაი-გუანის ოლქში რუსეთს, საფრანგეთს, გერმანიას და ინგლისს უნდა ჰყავდეს სამას-სამასი კაცი; იტალიას—ერთი როტა. ამავე სხდომაზე სასურველათ იცნენ ყველა საერთა შორისო ჯარების საერთო განკარგულების დამორჩილება. რაც შეეხება უცხოელ ჯარების ჩინეთიდან გაყვანას,—სხვა და-სხვა სახელმწიფოთა გენერლებმა სულ სხვა-და-სხვა აზრი გამოთქვეს. ინგლისის და იაპონიის ჯარის უფროსებმა თქვეს, ჯარის გაყვანა შეუძლებელია, სანამ ჩინეთი საზღაურის მხრით არ დაგვაკმაყოფილებს; საფრანგეთის გენერალმა თქვა, 9000 კაცი ერთი კვირის განმავლობაში წავიყვანოთ დანარჩენი ჯარი-კი, სადარაჯო რაზმებს გარდა, ექვს კვირაში. ავსტრიელებმა და იტალიელებმა ამ კითხვის შესახებ ვერაფერი თქვეს, რადგანაც თავის მთავრობისაგან ინსტრუქციები არ ქონიათ მიღებული. რუსეთის გენერალი კი სრულებით არ დასწრებია კრებას.

მაგრამ როგორ უნდა ვადაიხადოს ჩინეთმა ის საშინელი საზღაური, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები ითხოვენ,—65 მილიონი გირვანქა სტერლინგი? რა წყარო უნდა ჰპოვოს უმისოთაც ომით დანგრეულმა სახელმწიფომ? ამის გამოსარკვევათ შემდგარმა გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის ელჩების კომისიამ, როგორც ლონდონიდან დეპეშებით იტყობინებიან, შემდეგი მოხსენება შეადგინა და გადასცა დანარჩენ ელჩებს: მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი: „რადგანაც შეუძლებელია, რომ ჩინეთმა საკუთარის ხარჯით გაისტუმროს საზღაური 65,000,000 გირვანქა სტერლინგი, ამისათვის ამ თანხის გასასტუმრებლათ შემდეგი ოთხი საშუალებაა: 1) პირველი, ჩინეთის სესხი, სახელმწიფოთა მიერ არაუზრუნველყოფილი, რაიცა უდრის ჩინეთის სრულიად აკლებას; მეორე,—სესხი, ყველა სახელმწიფოსაგან უზრუნველ-ყოფილი; მესამე,—გამოცემა ჩინეთის ობლიგაციებისა თვითოეულის სახელმწიფოსთვის და მეოთხე,—ყოველ წლიური შესატანი. კომისიამ დაადგინა, ეს ოთხივე საშუალება თვით მმართველობათ წარუდგინოს გარდასაწყვეტათ; თვითონ კომისია-კი იმ აზრისაა, რომ საზღაურის გარდასახდელათ უნდა ისარგებლონ შემოსავლის შემდეგის ოთხის წყაროთი: 1) ზღვის ბაჟი, რომელიც უცხოელთა გამგობის ქვეშაა; 2) დამოქნის ტარიფის გადიდება, რომელიც 2 1/2-დგან 3 1/2 მილიონ ტაელის შემოსავალს იძლევა; 3) შინაგანი ბაჟის დაქვემდებარება ზღვის ბაჟის უწყებასთან, ამისი შემოსავალი იქმნება 3-დგან 10 მილიონ დოლარამდის, და 4) ბაჟის გაწერა იმ საქონელზე, რომლისთვის აქამდის ბაჟს არ ახდენებდნენ, სახელდობრ: ფქვილი, ერბო, ყველი, შემოტანილი ტანისამოსი და ალკოჰოლი. ამ ოთხის წყაროსა

გან, კომისიის აზრით, ყოველ წლიურად შეიკრიბება 5¹/₂-დგან 15 მილიონ ტაელამდის“.

ამნაირათ განაგებენ ჩინეთის ბედ-ილბას ევროპიელ სახელმწიფოთა გენერლები და ელჩები. რას შევბიან ამ დროს თვით ჩინელები? ამის პასუხს პეკინიდან 23 აპრილს მოსული დეპეშა გვატყობინებს: „ლონდონის მისიის ერთმა მისიონერმა განაცხადა, რომ, როგორც პროვინციებიდან მოსულ ამბებიდან სჩანს, ქვეყანა საზარელ მდგომარეობაშიაო. უცხოელთადმი სიძულვილი და მუქარა ეხლა უფრო მეტია, ვიდრე წინეთ. ჯარების გაყვანის უმალ ჩინელები გასწყვეტენ ადგილობრივ ქრისტიანებს“.



წერილები ბელგიაში.

პოლიტიკური პარტიები და მათი ძალ-ღონის განაწილება პარლამენტში.—ბრძოლის სამზადისი საერთო, თანასწორი საარჩევნო უფლების მოსაპოვებლათ.—სამინისტროსა და კლერიკალური პარტიის გაჭირვებული მდგომარეობა.—„ჩინეთის კითხვა“ ბელგიაში.

(შემდეგი. იხ. № 17).

ზასარულ, მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ერთი ამბავი, რომელიც ქრისტიან დემოკრატებს შეეხება. ეს არის რომის პაპის ენციკლიკა (ეპისტოლე), 18-ი იანვრის თარიღით. ეპისტოლემ აახმაურა მთელი საკათოლიკე ქვეყანა და ალაპარაკა პრესაც; ყველა პარტიებმა მას თავთავისი მსჯავრი დასდევს. ეპისტოლე იმდენათ საინტერესოა, რომ არ შეგვიძლიან აქვე არ მოვიყვანოთ მისი შინაარსი.

პაპი ეხება იმ ეკონომიურსა და სოციალურ კითხვებს, რომელიც იწვევენ საზოგადოებათა დაუდგრომლობას და მღვდვარებას, რითაც სარგებლობდა სოციალისტები. ეს უაღრესი ბოროტებაა, ამიტომ პაპმა ტახტზე ასვლისათანავე თავის მოვალეობათ ჩასთვალა ყველა ქვეყნის კათოლიკენი გაეფთხილებინა და ეჩვენებინა, თუ რა შეცდომებია სოციალიზმის თეორიებში და რა საშიშროება მომდინარეობს იქიდან (იხ. ენციკლიკა 28 დეკ. 1878 წ.) 14 მაისს 1891 წ. პაპმა კვლავ უჩვენა (ენციკლიკაში), თუ რა უფლება მოვალეობათა აღსრულება შეათანხმებს „მოქალაქეთა ორივე კლასს, მას, რომელსაც მოაქვს კაპიტალი, და მას, რომელიც იძლევა შრომას“. ქრისტიანული დემოკრატია კვლავ უნდა ამოძრავდეს. ქრისტიანულ დემოკრატიას არაფერი საერო არა აქვს სოციალურ დემოკრატიათან. უკანასკნელის მიზანია ამ ქვეყნიური კეთილ-დღეობა, ბედნიერება, რომლის უმაღლესი არაფერიაო. ამ მიზნისათვის მას სურს მთავრობა ეკუთვნოდეს ხალხს და ყველა მოქალაქენი, თანასწორნი პოლიტიკურათ, თანასწორნი იყვენ აგრეთვე ქონებრივათაც. უკანასკნელის განსახორციელებლათ ელტვიან კერძო საკუთრების გაუქმებას.

ქრისტიანულ დემოკრატის ქვა-კუთხედია სარწმუნოება. ქრისტიან-დემოკრატები უნდა ზრუნავდენ მკირე მოძმეთათვის, ჰხელმძღვანელობდენ მათ განვითარებას, „როგორც შეჰფერის სულთა სამარადისო სიკეთისათვის შექმნილთ“: ხელ შეუხებლათ უნდა დაცულ იქმნას საკუთრებისა და მფლობელობის უფლება; შეურყვევლი უნ-

და იქმნას არსებობა განსხვავებულ კლასთა, რაიცა ყველა წესიერათ მოწყობისა სახელმწიფოს აუცილებელი საჭიროებაა. ბუნებრივი და ქრისტიანული კანონი თხოულობს აგრეთვე პატივსა და მორჩილებას მათდამი, ვინც სახემწიფოში შემოსილა რაიმე ძალა-უფლებით. ქრისტიანულ დემოკრატიას არ უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი. ქრისტიან დემოკრატებმა უნდა იქიდავონ: მოწყალება, წინ-დახედულება, დაზოგვა, ზომიერება, მოთმინება და სხვა სათნოებანი, განსაკუთრებით კი სარწმუნოება. იგი იძლევა სარწმუნო ნუგეშს ცხოვრების უტიფრობის წინააღმდეგ. რათა უკეთესათ ჩაენერგოს ხალხს ეს სათნოებანი, დიდათ სასარგებლოა გაახსენებდენ მაგალითებს წმინდა მამათა ცხოვრებიდან და განუღვივებდენ (ხალხს, რასაკვირველია,) იმედს სამარადისო დაჯილდოებისას საიქიოს.

ეპისტოლე თავდება პატეთიურათ: „დიახ, ამის თხოულობს მდგომარეობა და თხოულობს ძრიელ ხმა მალლა (à grand cris); ჩვენ გვესაჭიროება გულადობა, ძალთა შეერთება, რადგან ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა ჩვენ თვალთა წინ მიმდინარე ტანჯვა-მწუხარებათა ზღვა ერთობ დიდია; ყოველის შემმუსრავი რევოლიუციები საზარელ განსაცდელს გვიქადიან; და ეს განსაკუთრებით სოციალისტების მოზარდი ძლევა-მოსილების წყალობით. სოციალისტები საზოგადოებას ოსტატურათ უძვრებიან გულში. თვის საიდუმლო კრებებზე—სიბნელეში თუ ღლის სინათლეზე—სიტყვით და კალმით ხალხის ბრბოს იწვევენ აჯანყებისკენ... საქმე შეეხება, ერთსა და იმავე დროს, საზოგადოებისა და სარწმუნოების არსებობას. რამდენათ ამაღლებდა პაპის ენციკლიკა ქრისტიან დემოკრატიას ხალხის თვალში, ამის განსჯა მკითხველისათვის მივგინდვია. ხოლო ფაქტი კი ის არის—ბელგიაში მაინც—რომ ქრისტიანი დემოკრატები ასპარეზს უთმობენ მუშათა პარტიას. აღბათ, ამ გარემოებითვე უნდა იყოს გამოწვეული პაპის ენციკლიკაც.

შედგა თუ არა ახალი პარლამენტი, კვლავ აღიძრა საკითხი, რომელიც შეადგენს ბელგიის საშინაო პოლიტიკის უმთავრეს საგანს, რომლის გარშემო განსაკუთრებით სწარმოებს პოლიტიკურ პარტიების ბრძოლა. ეს საკითხია საერთო, თანასწორი საარჩევნო უფლების მოპოება. უკვე ოცი წელიწადი იქნება, რაც ეს საკითხი იწვევს ხალხისა და საზოგადოების მოუსვენრობას და დაუდგრომლობას; და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საკითხი მეტათ არსებითი, მეტათ დიდ მნიშვნელოვანია. მის ასეთ თუ ისეთ გადაჭრაზე დამოკიდებულია თვით საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი თუ ისეთი მიმდინარეობა. ხალხი, რომელიც მოკლებულია საკანონმდებლო საარჩევნო უფლებას და მაშასადამე განდევნილია საქვეყნო საქმეების მართვა-გამგეობიდან, არ არის დარწმუნებული თავის მდგომარეობაში; მან არ იცის, რას მოუტანს ხვალინდელი დღე, გაუადვილებს ცხოვრების ჭაპანის წევას, თუ მძიმე ტვირთი ქვეშ მოახრევენებს ქედს; ასეთი ხალხი მონაა „შემთხვევების“; ყურ მოჭრილი ყმა ხაზმუზიანი ბედისა. ბელგიის ხალხმა შეიგნო ეს ჭეშმარიტება და კიდევ ასტება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საარჩევნო უფლების მოსაპოვებლათ; ბრძოლამ იმატა მე 80-ცე წლებში: უკიდურეს ხარისხამდე მიადწია მე-90-თე წლებში. 1893 წ. ხალხმა კიდევ გაი-

ტანა ლელო. გამოცემულ იქმნა კანონი, რომლითაც ყველა ბელგიის მოქალაქეთ *), მიენიჭა საკანონმდებლო საარჩევნო უფლება. ეს იყო პირველი და უძნელესი ნაბიჯი, რომელიც თავდება საბოლოო გამარჯვებო; გამარჯვება კი არ ყოფილა სრული, რადგან საარჩევნო უფლებას კანონმა სარწულათ დაუდო, ეგრეთ წოდებულნი, „მრავალ-ხმოვანი სისტემა“ (წესი), რომლითაც ბურჟუაზიას ეძლევა ორი და სამი ხმა, პროლეტარიატის დიდ უმრავლესობას კი მხოლოდ თითო ხმა.

1893 წლის გამარჯვებით ხალხი დროებათ დაშოშმინდა; მან ოდნავ შეისვენა, რომ მერე უფრო კიდევ მხნეთ განეგრძო ბრძოლა. ამასთანავე, თუ 93 წლამდე ბრძოლა სწარმოებდა მხოლოდ პარლამენტს გარეთ, ეხლა 94 წლიდან მოკიდებული, — როცა ახალი საარჩევნო კანონის მეოხებით ხალხმა თავისი წარმომადგენელნი შეიყვანა პარლამენტში — ბრძოლა გარედან, ქუჩიდან პარლამენტშიაც გადავიდა და მით იგი უფრო გაცხოველმყოფელდა და განაყოფიერდა. „მრავალ-ხმოვანი სისტემის“ უკანონობა ერთხელ კიდევ გამოააშკარავა გასულის წლის არჩევნებმა. მთელ ბელგიაში ამრჩეველთა რიცხვი იყო 1,452,232. ამათში ორი და სამი ხმა ჰქონდა 500,000 კაცს, დანარჩენებს კი მხოლოდ თითო ხმა. ამასთანავე პირველთა ხმის რაოდენობა მეორეებისას აღემატებოდა 443,633 ით. ამ ციფრებმა კვლავ ააღელვა ხალხი, კვლავ გაახსენა ფიცი, რომელიც მანიფესტანტებმა დასდეს 1890 წ. 10 აგვისტოს ბრიუსელში. სენ-ჟილის გორაზე: „არ დასტოვონ ბრძოლის ველი, სანამ არ მოიპოვებენ თანასწორ საარჩევნო უფლებას!“

ახლათ არჩეული დეპუტატები (გასულ წელს) ჯერ არც-კი შედგომოდნ თათბირს მომავალ სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლათ, რომ ხალხმა თვითონ ამცნო მათ, საით უნდა ყოფილიყო მიმართული მათი მოქმედება, გადაჭრით გამოაცხადა, თუ რას თხოულობდა იგი ახლათ არჩეული პარლამენტისაგან; ქვეყნის ყველა კუთხეში მოახდინა მანიფესტაციები, რომლის საგანი ყველგან ერთი და იგივე იყო „საგრო თანასწორი საარჩევნო უფლება“. დიდი მანიფესტაცია მოხდა, კერძოდ ბრიუსელში (ნოემბერს). მანიფესტანტებმა პეტიცია (თხოვნა) გადასცეს ბურგმესტერს (ქალაქის თავი) და დაავალეს, რომ მას, თავის მხრით, გადაეცა მთავრობისათვის პარლამენტში წარსადგენათ, რაზედაც ბურგმესტერმა სრული თანხმობა გამოაცხადა. პეტიცია თხოულობს თანასწორ საარჩევნო უფლებას და ამნისტიას (პატიებას) პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

(შემდეგი იქნება)

მაისის დამე

შეშ ამ საამო მაისის დამეს, რა უცნოთ არის ცა მოწმენდილი და მცემცემე ზედ ვარსკლავები წუთად და წუთად მიმსკელილი!

*) 1893 წლამდე საარჩევნო უფლება ჰქონდა მხოლოდ ბურჟუაზიას.

მიდამოს ნახათ დახათს მთავრე... გულთ მამნიბლავათ აყვავებულს; მადისუბია მთელ არე მარეს, ინგურებგ ილოდიწნუდმს ჰქარს სურნელეებრ შეზავებულს; ინგურებმ დღეო პოორუ მუჟდრ ბუნებს ადვიტეს მხალთა იულ-მონ მუიბ ხმა ზეციური, ხმა ხაზი, ტკბილი; მოიპინ ანორე პიბ ხსნ გამაშვებათ ისმის ბუღბუღის ულპონ მთინტეციგ სტეკს-გალობს გულ ამისკენილი. ზხივარ მარტოკა სულ-განასუღი, ორფლ იუნდ არს არ ეკარება რული თვალესსა ინგურებმ უცნუ პიბ შევტერ ვარსკვლავებს, გაბადრულ მთავრეს — მცემცემესა მკელვარეს.

ფეაქრობ: ამ დამტკბარ დამის უკეთეს ვერას იხილავს კაცისა თვალს; ნეტა შე რათ არ მაკმყოფილებს, რათ არ მიქრება ცეცხლისა ალა?! მაგრამ კი, ვაშობ, თუშტა სმსხერლათ საამო არის შექმული არე, მხოლოდ ანა მწამს: მაინც დამკა; მსურს, რომ გათენდეს, განათლდეს მხარე...

ღარია ხუნდაძისა.

უფამიას ოცნება

ღვთის მშობლობა დილას ერთ პატარა, ძველებურ ოდაში იჯდა ახალგაზდა ქალი, ეფემია გვერდელიშვილი და ჩამოშლილ თმას ივარცხნიდა.

— ნეტაი თუ დარეკეს სახტარზე? — შეეკითხა ეფემია თავისს დედას, თეკლეს.

— არ გამოიგონია, მარა, სანამღი ჩვენ მოვხაზირდებოდეთ, ქე იქნება დროი, — მიუგო დედამ. — ვარდის ფერი კაბა ჩეიცვი, ნენა, დღეს, პირზე უფრო გიხთება, — დაუმატა თეკლემ.

— შენც ხეირიანათ ჩეიცვი რამე ოჯო, დღეს უცხოც ბევრი იქნება იქინეი.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქ! მე რავაც ჩევიცვამ, სულ ერთია, რაცხა შენ იყავი ლამაზათ მეთქი, თვარა.

თეკლე გახლდათ ერთი ღარიბი აზნაურშვილის ქერივი. თეკლეს ქმარს, ჯამლეთ გვერდელიშვილს, ძალიან მოჰქონდა თავი ჩამომავლობით, გვარიშვილობით; თუმცა შეძლება არ შესწევდა, მაგრამ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ თავი არ დაემცირებია, „გვარი არ შეერთცხვინა“, როგორც თითონ ამბობდა. რასაკვირველია, ჯამლეთს თავისებურათ ესმოდა „თავის დამცირება“ და „გვარის შერცხვენაც“. პატოხსენებასა და კეთილშობილებაზე მას ახირებული წარმოდგენა ჰქონდა. სასირცხოთ მიაჩნდა, მაგალითათ, მას, თუ სტუმარს კარგათ ვერ გამოათრობდა, ხოლო ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებას რა გზითაც მოიპოვებდა, სულ ერთი იყო.

გვერდელიშვილების უფროსი შვილი ეფემია იყო. თორმეტი წლის განმავლობაში მათ ამის მეტი შვილი არ შერჩათ. ჯამლეთს ძლიერ ენატრებოდა ვაჟი, მაგრამ იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მისი ეფემია მეტად ლამაზი, ცელქი და ცქრიალა ბავშვი შეიქმნა. ჯამლეთ ერთობ ახირებული ხასიათის კაცი იყო და პატარა ქალსაც თავისებურათ ზრდიდა. მოსიყვარულე მამა ხშირად აცმევდა

ეფემიას ვაჟის ტანისამოსს, შემოსვამდა ცხენზე და ისე დააქროლებდა.

სწორედ ამ ნაირი აღზრდის შედეგი იყო ის, რომ ეფემია გაბედული ქალი შეიქმნა. ჯამლეთ გარდაიცვალა, როდესაც ეფემია თხუთმეტი წლის გახდა. ამ დროს მას სამი წლის ძმა-კი ჰყავდა. ბევრი გაქირვება და შიში გამოიარა თეკლემ ქვრივობაში. მცირე მამულის შემოსავლით თავის შენახვა მას მეტად უძნელდებოდა; გასათხოვარი ქალის პატრონობა და უმცროსი შვილის გამოზრდა ხომ თავში საცემად გახდომოდა. გარეგანი სიმშვენიერით ეფემიას ბადალი არ ჰყავდა იმ მიდამოში; მართა ამ გარეგნობაზე იყო დამყარებული მთელი იმედი დედა-შვილისა, რადგან მათ მზითვის არაფერი გააჩნდათ. ეს უკანასკნელი გარემოება ძრიელ აბრკოლებდა ახალგაზდა ქალის საქმეს: ცოტაოდნად შეძლებული ყმაწვილი კაცი აუცილებლად კარგ მზითვეს თხოულობდა; უქრთამოდ შერთვის მსურველნი-კი ყოვლად ლატაკნი იყვენ და მათი წინადადება ეფემიას სულაც არ ეპიტნავებოდა. „თლათ რომ გუუთხუარი დავრჩე, ღარიბ კაცს მაინც არ წავყობი; გაქირვება რაც გამოვცადე იგიც მეყოფა“-ო—ფიქრობდა ის. ერთხელ მისი მოტაცება-კი მოინდომეს. რამდენიმე კაცი თავს დაესხა ამ განზრახვით დედა-შვილს, მაგრამ ეფემია არ შეშინდა, კედლიდგან თოფი ჩამოგლიჯა და რამდენჯერმე გაისროლა სახლიდან. შეშინებული რაინდები გაიფანტენ და ამის შემდეგ აღარ უცდიათ ბედი.

წირვა უკვე დაწყებული იყო, როდესაც თეკლე და ეფემია შევიდნენ საყდარში.

სოფ. გვიმბრიანის ეკლესიის დღესასწაული იყო და ხალხს ბლომად მოეყარა თავი ახლო-მახლო სოფლებიდან. ჩვეულებრივით, უკან ქალები იდგნენ, წინ—კაცები.. ეფემიამ მოინდომა წინ წასვლა, მაგრამ ეს ადვილი არ იყო: ხალხი ძალიან მკიდროთ იდგა. შეუმჩნეველად გაჩერება ამისთანა შემთხვევაში ახალგაზდა გასათხოვარ ქალისთვის სრულიად არ იყო სასურველი და ამიტომ ეფემიამ მტკიცედ გადაწყვიტა წინ გასვლა. ის მხნეთ შეებრძოლა დაბრკოლებას. კიდევ ორი-სამი ნაბიჯი და ეფემია მიხანსაც მიაღწევდა, მაგრამ ის ამ დროს დაეჯახა ერთ კარგა შეძლებულ გლეხის ჩხირაძის ცოლს, რომელსაც წინ გასათხოვარი ქალი ედგა. ეს ქალები თითონ ცდილობდნენ უფრო თვალ-საჩინო ალაგის დაჭერას, ამიტომ მედგრად წინააღმდეგ ეფემიას სურვილს და გზა შეუკრეს მას.

— კი, მარა მაინდამაინც შენ უნდა წახვიდე წინ? რეიზა იქნას აი?—შენიშნა გლეხის ცოლმა.

— შემფერის და კიდევაც წავალ! დიდი საქმეა სწორეთ შენ თუ დაგიდექი წინ!—წყრომით შეუტია ეფემიამ.

— შენზე უარესს რაღა უთხრა!.. გინდა ყველამ შენ გიყუროს ახლა დღეს...

— აი შლაპკა რომ წამოგვიკორკოტებია თავზე იმიჯა აღარ გიჩანს კაცი თვალში?—მიუბრუნდა ეფემია ჩხირაძის ქალიშვილს.

— გქონდეს, თვარა კი წამეიკორკოტებ, რომ არ გაქ, იგია შენი უბედურობა, თვარა!—დაცინვით შენიშნა ახალგაზდა ქალმა.

ეს-კი მეტის-მეტი იყო. ეფემია გაწიწმატდა, სიბრა-

ზისაგან სულ აირია. ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს ახირებული შეტაკება მანდილოსნებისა, რომ ღვდელი არ გამოსულიყო საკურთხეველიდან.

— რა საკადრისია მაი! ეკკლესიაში ჩხუბი ვის გულგონია?! სადაც დადგები სულ ერთია, აქნაი ლოცვა ყოლგან შეიძლება!—უსაყვედურა მოძღვარმა მოჩხუბართ.

სწორეთ ამ დროს საყდარში შემოვიდა საკმაოთ ჩამკვრივებული ახალ-გაზდა კაცი; მის დანახვაზე ერთბაშად შეწყდა მანდილოსნებში ჩოჩქოლი. ყველას დაავიწყდა ეფემია და შლიაპიანი ქალიც, რადგან ახლა მთელი საზოგადოების ყურადღება ახალმოსულმა მიიქცია, ისე მდიდრულათ იყო ის მორთული: გაქათქათებული განამებული პერანგი ოქროს ღილებით და ლამაზი ყელსახვევით, მშვენიერი ვეროპიული ტანისამოსი, ორგნით ჟილეტკის ჯიბეებში ჩაშვებული ვეებერთელა ოქროს ძეწკვი, ხელებზე მთელი გროვა ბეჭდებისა; ერთი სიტყვით, ყველაფერი, მთელი მორთულობა მეტად განსხვავებულ ელფერს სდებდა ამ კაცს და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ იქ მდგომი დიდი, თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ყველა მას მისჩერებოდა და გაოცებით ერთმანეთს ეკითხებოდა: „ნეტაი ვინ არის, საიდან მოსულაო“?. ახალ-მოსულმა კარგად შეამჩნია ის შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა საზოგადოებაზე, უკეთ ვსთქვათ, აღრევე იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა და ამიტომ თავმომწონეთ გადაავლო თვალი მივარდნილ სოფლის მცხოვრებლებს, თითქო ამით ეუბნებოდა მათ: „თქვენც ამბობთ ვცხოვრობთ ქვეყანაზეო“!

უცნობმა ეკკლესიაში შესვლისთანავე მოითხოვა ერთი მანეთის წმინდა სანთელი და თუმნიანი გადასცა.

— ნაშალი არ გახლავს ჯერე და მერე მოგართმევთ!—მორიდებით უთხრა მნათემ.

— დარჩეს ეკკლესიის სასარგებლოთ,—სთქვა ახალმოსულმა.

ამ არაჩვეულებრივმა შემოწირულებამ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. საყდარში ჩურჩული შეიქნა. რასაკვირველია, მაშინვე გზა დაუცალეს ასეთ მოულოდნელ სტუმარს, რომელიც წინ წავიდა ყელ-მოღერებით და გაჩერდა; მის წინ ახლა ერთი მოხუცებული აზნაური იდგა; ამ უკანასკნელმა, შეამჩნია რა საპატიო პირის მოახლოვება, მორიდებით ხელები ჩაავლო მას მხარში და თავისი ალაგი შესთავაზა. სტუმარმა ოდნავ თავი დახარა და ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გადასდგა.

II

გიორგი ჰინტილიანი, რომელმაც ასე მოხიბლა სოფლის მკვიდრნი, იყო ერთი გვიმბრიანელი აზნაურის დის წული. გიორგის დედა ღარიბი ოჯახის შვილი იყო და რადგან ამასთან გარეგნობასაც უწუნებდნენ, ამიტომ ის მიათხოვეს ერთ შორეულ გლეხს. 13—14 წლის გიორგი ერთმა ნათესავმა თბილისში წაიყვანა. მას შემდეგ გიორგი ქალაქს აღარ მოშორებია. ვინ იცის, რა არ გამოსცადა ღარიბმა სოფლის შვილმა ამ ხნის განმავლობაში. პირველად ის მხარეულს მიაბარეს; ცოტა ხანს სტამბაშიც მუშაობდა. მერე ხან მეკარეთ იყო, ხან ლაქიათ. ბოლო დროს გიორგიმ ერთი ამხანაგის საზიაროთ „სასტუმრო ოთახები“ გამართა თფილისში და ამ სახით თითონ ბატონი და მბრძანებელი შეიქმნა. თუმცა გიორგის თავისი ფული არ ჰქონდა, მაგრამ მან მომავლის იმედით



დაიწყო ეს საქმე, უფრო „ქვეყნის შესახებდავით“, რადგან მას „სახელი“ სწყუროდა...

წირვა გათავდა. ხალხი საყდრის გალავანში გამოიშალა და ვეებერთელა ცაცხვის ძირში, ტოგონთან, მოგროვდა. გიორგიც გამოვიდა გარეთ. ყველა მოწიწებით თავს უკრავდა მას, უფრო გაბედულნი ხელსაც ართმევდნ სტუმარს, თუმცა არ იცნობდნ მას. ამ დროს გიორგის მიუახლოვდა გაბრწყინებული სახით მისი ბიძაშვილი, ახალგაზდა ქვრივი ქალი, ელენე და ღიმილით უთხრა:

— ერთი აქეთ წვეიდეთ, თუ ღმერთი გწამს! ქალები იცითან აგერ; მოსლა უნდოდენ, მარა ვერ გაბედეს.

— ახირებული ცერემონიები გცოდნიათ ამ სოფელში!—ღიმილითვე მიუგო გიორგიმ და ელენეს გაჰყვა.

ეკკლესიის დასავლეთის კარებთან იდგენ გვიმბრანის რჩეული მანდილოსნები, რომელთა შორის ეფემიაც იყო. სტუმარს მიესალმენ და ხელი ჩამოართვეს.

— რას აწუხებდი, ოჯო, ამ პატიოსანს, ვის ეკადრება!—შენიშნა ელენეს ერთმა მანდილოსანმა.

— ძალიანი სასიამოვნოა... დაიწყო გიორგიმ.

— ელენეს ბრალია, თვარა ჩვენ რავა გავბედავდით, ბატონო!—დაუმატა მეორემ.

— ძალიანი კარგათ! რეიზა არა? ამდონი ხანია აგერ გვიბრდება და ახლა ძვილათაი ჩამუტოთა ფეხი. მაგას რომ სოფელი არ მოსწონდეს, რა გასაკვირალია, მარა არ უნდა დევიწყოს! ვითამ ჩვენ რა დავაშავეთ, ტფილისში რომ არ ვართ, იმიზა თუ?—ღიმილით წარმოსთქვა ელენემ.

— ამას არ დოუჯეროთ, ბატონო, ძალიან სტროგი ქალია!—იხუმრა გიორგიმ. ყველანი ცაცხვისკენ წავიდნენ. აქ ისხდნ აზნაურები და თავ-მომწონე გლეხები. გიორგის მისვლაზე ფეხზე წამოდგენ და დასაჯდომი ალაგი დაუცალეს მას. გიორგი ჩამოჯდა.

— როის მობრძანდი, ბატონო?—ჰკითხეს სტუმარს.

— ერთი კვირაა სოფელში ვარ; აქ გუშინ ჩამოვედი,—მიუგო გიორგიმ.

— კაია, რომ გამობძანებულხარ სახტარზე! რაცაიზა ამ სტავლულ კაცებს არ გიყვარალიან წირვა-ლოცვა და რაფერაა არ ვიცი!—მხიარულათ შენიშნა ერთმა დამსწრეთაგანმა.

— სკუჩნაობაა სოფელში...

— აქანაი რაცხა შეჩოული კაცი თუ გაძლებს, თვარა შენისთანა განათლებულს კი გუუჭირდება, მე შენ გეტყვი,—დაიწყო ვილაკამ.

— კაია, კაი, ბატონო, რომ არ გავიწყტება სამშობლო! რაც უნდა იყოს, შენი ქვეყანა არ უნდა მეიძულო კაცმა. ზოგიერთმა, ორ დღეს რომ გარეთ გვეიდა, თლა დევიწყა ყოლიფერი! რათ მინდა შენი სტავლა და განათლება, თუ თვალთ ვერ დაგინახავ? საცხა, გადაფთიას, სხვაიც ბევრია, მარა ვინ მისტობა!—წარმოსთქვა ერთმა ხანში შესულმა აზნაურმა, ბეჟანმა.

— მართალია!—დაეთანხმა გიორგი:

— რა ნაირათ შეიძლება კაცმა დევიწყოს თავის ქვეყანა? მე სწორეთ ჩვენებური კაცის მუდამ პატივის მცემელი ვარ, სადაც უნდა შემხთეს.

— შენი ოჯახი აკურთხა ქრისტემ! დაგლოცა ღმერთმა!— მოისმა აქეთ-იქიდან.

— რა სამსახურში ხარ, ბატონო?—ჰკითხა აზნაურმა.

— მე... სადერჟატელი ვარ ზევზდას... ზავედენიაა...

—მცირე ყოყმანის შემდეგ მიუგო გიორგიმ.

— დელეტორი, ბატონო?—დაეკითხა ისევ ბეჟანი, რომელსაც ვერ გაეგო გიორგის სიტყვები.

— სულ ერთია!.. ზოგი ასე ამბობს.

— ჯამაგირი დიდი გექნება!

— ვცხოვრობთ ასე!

ამ დროს საყდრიდან ღვედელიც გამოვიდა; მან მაშინვე ყურადღება მიაქცია ცაცხვის ძირში თავ-მოყრილ ხალხს და, განსაკუთრებით, გიორგის. ღვედელმა მოიხმო იქვე მდგომი გლეხი.

— ვინაა მამი, თუ იცი?—ჰკითხა მას ცნობის მოყვარე მოძღვარმა.

— მამი ვინცხა პინტილიანი ყოფილა. რაცხა დიდი ადგილი უჭირავს თურმე თფილისში. აწწლადისას ყოფილა სტუმრათ. ღვედელმა მაშინვე გასწია გიორგისკენ.

— ამ ეკკლესიის მოძღვარი გახლავარ!—წარმოსთქვა ღვედელმა მისალმების შემდეგ.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! დაბძანდით, მამაო, —სთქვა გიორგიმ და ხელით ანიშნა დასაჯდომი ალაგი თავის გვერდით.

— თქვენისთანა განათლებული კაცის სტუმრობა მეტად ძვირფასია ჩვენთვის!

ამ ლაპარაკის დროს ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

— რაც მე დღეს გადამწყტა სახტარზე, ერთი სიტყვით, სიკვტილი გამევიარე! ჩემს გულს შევასკტი, ოღონ რალა მექნა თვარა; კბილით რომ დამეგლიჯა, გული არ მომიშლიდა, გონია! რა წამომძახა მე იმან დღეს! ალაიაში გამარონია... ამბობდა ეფემია გზაში.

— სიღარიბეს დუუდგა თვალი, თვარა მაგას ვერ მიზამდა მე იგი.—დაიწყო თეკლემ.

— დაბალ ღობეთ რომ განახავს, მაშინ ყველაი დაგიჯაბნებს და წამოგძახებს, აი არ იცი?—გულ-ნატყენათ შენიშნა ახალგაზდა ქალმა.

— ასე რომ იცი, ნენა, ლაპარაკი, რავა, მაქ და არ ვყიდულობ თუ? რას მიკვეთ, თუ იცი?—უსაყვედურა დედამ.

— გიკვეთ იმას აგერ...

ლალიან.

(შემდეგი იქნება)

ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

(დასასრული, იხ. № 17).

დამხრევ საყურადღებოა თავადების შეთქმულობისა და გლეხების ამბოხების ერთმანერთთან შედარება. როდესაც არისტოკრატთა ოც-დაათ წლებში შეთქმულობა მოახდინა, მისი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკურათ აღდგენა ე. ი. ძველი წყობილების დაბრუნება არისტოკრატის ხელში. გლეხები კი უკმაყოფილონი იყვენ არა ახალი წყობილებით, არამედ რუსის მოხელეთა მხეცური მოქმედებით და მათი ამბოხებაც, უმეტეს შემთხვევაში, ამ მოხელეთა უკანონობითა და სასტიკობით იყო გამოწვეული. ყოველივე ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ გლეხობამ სხვა თვალთ შეხედა საქართველოს პოლიტი-

კურათ სიკვდილს; არისტოკრატამ სხვა თვალთ: არისტოკრატია უფრო იგლოვდა მას, ვიდრე გლეხობა, და ამის მიზეზი მათი ინტერესების სხვა დასხვაობაში იყო: გლეხობას თვალსაჩინოთ იმდენი არა დაუკარგავს რა პოლიტიკური ცვლილებებისა გამო, რამდენიც თავადობამ დაჰკარგა და ამიტომაც პირველის გლოვა გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მეორესი. *) ჩვენ თუ ვამბობთ: პატრიოტული პოეზია ჩვენში კლასიურმა ინტერესებმა წარმოშობებს-მეთქი, აქედან ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ ყოველი პატრიოტი მწერალი კლასიური ინტერესების მეტს ვერას ხედავდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა იმათ გულწრფელათ უყვარდათ თავისი სამშობლო და ვერცა ხედავდნენ კლასიური ინტერესების გავლენას თავის პოეზიაზე, მაგრამ ცხოვრებაში ყოველთვის ასე ხდებოდა: კლასიური ფსიხოლოგია იმდენათ იმორჩილებს ადამიანს აზროვნებას, რომ ერთი რომელიმე კლასის ინტერესები მას მთელი ერთისა და ხშირათ მთელი კაცობრიობის ინტერესებათ მიაჩნია. წარსული საუკუნის პოეტთა შორის ჩვენ გვყავს ერთი, რომელიც სრულგებობით აცდა კლასიური ინტერესების ზეგავლენას მიუხედავათ იმისა, რომ ისიც არისტოკრატის წრეს ეკუთვნოდა და ამ წრის ზეგავლენის ქვეშ აღიზარდა; ეს იყო ნ. ბარათაშვილი. ეს პოეტი დღემდის გამოუცნობელი პირია და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩება ის ასე გამოუცნობლათ. თავადობის გლოვას ნ. ბარათაშვილი არ გაუტაცნია; საქართველოს პოლიტიკურ სიკვდილში ის ხედავდა აუცილებელ მოვლენას, რომელსაც წელში უნდა გაემართა გონებრივათ დაბეჭავებული და მტრისაგან დაზარალებული ქართველობა. ნ. ბარათაშვილს ჰქონდა საკუთარი სევდა, რომელიც იმ დროს მხოლოდ მისი იყო, რომელიც მარტო მას უღრღნიდა გულს, მხოლოდ მას უკარგავდა მოსვენებას. ეს სევდა იქიდან წარმოსდგა, რომ ნ. ბარათაშვილი ერთობ ადრე დაიბადა; ის მთელი საუკუნით მაღლა იდგა მაშინდელ საზოგადოებაზე; მისი მისწრაფება, მისი სულის კვება არავის ესმოდა, მის წყურვილს მოქმედებისას არავითარი ასპარეზი არა ჰქონდა, — ამიტომაც ის მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სულიერ ობლობას გრძნობდა, — გრძნობდა, რომ რამდენიც უნდა ეცოცხლა, მაინც ობოლი იქნებოდა, და ეს გრძნობა იყო დაუშრეტელი წყარო იმ სევდისა, რომელიც ასე ჰხიბლავს მკითხველს მის პოეზიაში.

მესამოცე წლებამდე ჩვენი პოეზია გამომხატველი იყო უმთავრესათ პოეტის ინდივიდუალური აზრისა და მისწრაფებისა. პოეტის პიროვნება, მისი საკუთარი ნება, — აი რა გამოსკვივის მთელს მაშინდელს პოეზიაში. ამიტომ ჩვენი პოეზიის მიმართულება მესამოცე წლებამდე იყო — რომანტიული, — პოეზიის უმთავრესი დარგი — ინდივიდუალური ანუ სუბიექტიური ლირიკა. როგორც სხვა მიმართულება, ისე რომანტიზმი ჩვენში ისე სავსებით არ გაფურჩქნებია, როგორც დასავლეთ ევროპაში. რომანტიზმის თვისებათა შორის არის ერთი, — კერძო, სა-

*) პრინციპიალურათ ნაციონალურ იდეას ჩვენ სრულგებობით არ უარყვით, მაგრამ იმ ხანაში, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, ეს იდეა თავს ვერ იჩენდა მთელ ხალხში ზემოხსენებულ მიზეზებისა გამო.

კუთარ გრძნობათა ხატვა. ქართულმა რომანტიულმა პოეზიამ მარტო ეს ერთი თვისება განივითარა. მესამოცე წლებიდან ჩვენი პოეზია ნელა-ნელა იწყებს ახალ გზას და ეს ახალი გზა თუ ნათლათ გამოსკვივს პოეზიის მიმართულებაში, იმდენათვე ნათლათ არა ჩანს მის შინაარსში. მესამოცე წლებიდან დღევანდელ დრომდე ჩვენი პოეზია იყოფა ორ ხანათ, რომელთაგან პირველი ხანა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილათ: პირველი ნაწილი გრძელდება ოთხმოც წლებამდე, მეორე — ოთხმოციდან ჩვენს დრომდე, ხოლო ჩვენს დროში თავი იჩინა პოეზიის ახალმა სიომ — დადგა ახალი ხანა ჩვენი პოეზიისა. რამ გამოიწვია ცვლილება ჩვენს პოეზიაში? მხოლოდ ცხოვრების შეცვლა. მესამოცე წლებში ჩვენი ცხოვრების წყობილებას საფუძველი გამოეცალა. თუ აქამდე ცხოვრების სახე ყველასათვის ამაკარა იყო და ადვილათ გასარჩევი, თავადს თავისი განსაზღვრული ალაგი ექირა ცხოვრებაში, აზნაურს — თავისი და გლეხს თავისი, ყოველივე ეს მოიშალა, ცხოვრების განორკვეული სახე წაიშალა და მის ალაგას ვერაფერ ვეღარაფერს არჩევდა. თავისი განსაზღვრული ალაგი ყველამ დაჰკარგა ცხოვრებაში, მოწინავე პირები ხედავდნენ, საითკენაც წავიდოდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ თვითონ ხალხი ამას ვერ ხედავდა; მოწინავე პირები უთითებდნენ ხალხს ახალ მრეწველობისა, ვაჭრობისა და სწავლა-განათლების გზაზე, მაგრამ ხალხი ჯერ ვერ შემდგარიყო ზედ. ასეთმა გამოურკვეველმა ხანამ გასტანა სამოც-დაათ წლებამდე და მან თავისი კვალი ჩვენს პოეზიისაც დააჩნია. აქაო და გლეხობა განთავისუფლდაო, ჩვენმა პოეტებმა იფიქრეს: აწი საქართველოში საერთო ბედნიერება დამყარდება, ოღონდ ყველას გზა ვუჩვენოთო; თანამედროვე ცხოვრების რკვევას პოეზიამ თავი დაანება და დაუბრუნდა ისევ წარსულს, ან მიაქცია ყურადღება ზოგად კითხვებს. შინაარსის ცხრივ ამ დროდამ ჩვენმა ლიტერატურამ ერთი ცვლილება შემოიტანა: გლეხი, რომელიც აქამდე პოეზიის ყურადღებას არ იზიდავდა, პოეზიის კანონიერ მოქალაქეთ გახდა. იდეალურ სახით გლეხი პირველათ წარსდგა მკითხველის წინაშე ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში. ახალი ლიტერატურა მაშინათვე რეალურ გზას გაბედვით დაადგა და ამ დღიდან რეალური და რომანტიული მიმართულება თანაბრათ მოდიან ერთათ ოთხმოც წლებამდე. ოთხმოც წლებიდან კი რომანტიული მიმართულება თანდათან ილუღება და ჰქრება, რეალური კი თანდათან იფურჩქნება. თუ პირველ ხანებში რეალური მიმართულება არ იყო მკაფიო და გაბედული, მას ერთი რომანტიული ელემენტებიც; ოთხმოც წლებიდან რეალური მიმართულება იწმინდება ამ ელემენტისაგან და მკაფიო გზას ადგება. რეალური მიმართულება ჩვენში მესამოცე წლებზე ადრე გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ მესამოცე წლებიდან იწყო განვითარება; იმის მამათ-მთავრათ უნდა ჩაითვალოს ჰონკაძე, „სურამის ციხის“ ავტორი. მესამოცე წლებიდან პოეზიის მეთაურნი გახდნენ აკაკი წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე. სხვა ცვლილებათა შორის, ამ პოეტებმა ერთი შესამჩნევი ცვლილება შემოიტანეს: მათ შექმნეს ნამდვილი მარტივი ლიტერატურული ენა და ამით პოეზია გასაგები გახადეს ყოველი მკითხველისათვის. მანამდე ლიტერატურული ენა წარმოადგენდა უმთავრესათ ან-



ტონ კათალიკოსის ენას; ახალი ენის შექმნაში ყველაზე მეტი სამსახური მიუძღვის აკაკი წერეთელს.

როგორც უკვე ვთქვით, გამორკვეულმა ცხოვრებამ მესამოცე წლებიდან გამოურკვეველი სახე მიიღო და პოეზიამ ვერ მოჰყენა მის ნათელი, ვერ გამოარკვია მისი სახე. ამ მხრივ ერთადერთი მშრომელი იყო ჩვენი ჟურნალისტიკა, რომლის სათავეშიც იდგენ გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი, ესენი კარგათ იცნობდნენ ევროპის ცხოვრებას, მათი იდეალი დასავლეთ ევროპაში იყო და თავის პუბლიცისტურ ნაწერებში დაუღალავათ უთითებდნენ ჩვენს ერს იქითკენ. მათ მალე შეიგნეს თანამედროვე ცხოვრების მიდრეკილება; მათი ქადაგება ზედ გამოქრით შეეფერებოდა დროს; რა სახესაც ლებულობდა ჩვენი ცხოვრება, ყველაზე უმაღლეს მთაშენი და ახალი ცხოვრების სახე ყველაზე უმაღლეს წერეთელმა ვადიტანა სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში; ერთის მხრით მან დაგვიხატა ჩვენი ერის იმ ნაწილის მდგომარეობა, რომელიც ძველ გზას შერჩენოდა, მეორეს მხრით მან წარმოგვიდგინა იმ ნაწილის სურათი, რომელიც ახალ გზაზე გამოსულიყო, და ამით გვიჩვენა, საით მიდიოდა ჩვენი ცხოვრება და რა ნაბიჯი გადაედგა ახალს გზაზე. აქედან ე. ი. ოთხმოცი წლებიდან ჩვენი ლიტერატურა დაადგა გარკვეულ გზას როგორც მიმართულებით, ისე შინაარსით: რეალიზმი შეიქნა მთავარ მიმართულებათ, თანამედროვე ცხოვრება და თანამედროვე ადამიანის ფსიხოლოგია—შინაარსის მთავარ საფუძვლათ. ამ გზიდან არ გადახვევია ჩვენს პოეზიას დღევანდელ დღემდე; ხოლო მასში გამოირკვა ორი შემდეგი თვისება: მაშინ, როდესაც მწერლების ერთმა ნაწილმა ვიწრო ფარგლებში მოიმწყვდია თავი და იდეალურათ ხატვა დაუწყო გლეხსა და მის ცხოვრებას, მეორე ნაწილმა მთელი ჩვენი ცხოვრება გაიხატა თავის საგნათ და მიუდგომლათ ხატვა—თავის მიზნათ. თუ რომანტიული მიმართულება მხოლოდ სუბიექტურ ლირიკაში იხატებოდა, რეალიზმმა ეს ლირიკა საზოგადოებრივ და ობექტიურ ლირიკათ გახადა, ეს ლირიკა მძლავრათ გაიშალა, მასთან ერთად გაიფურჩქნა ბელეტრისტული ფორმაც სიტყვა-კაზმული მწერლობისა და ჩვენი ლიტერატურა, როგორც შინაარსით, ისე ფორმითა და მიმართულებით გართულდა.

რათ მიიღო ჩვენმა ლიტერატურამ გარკვეული სახე როგორც მიმართულებით, ისე შინაარსით მხოლოდ მეოთხმოცე წლებში? იმიტომ, რომ მეოთხმოცე წლებიდან გამოირკვა თვით ჩვენი ცხოვრების სახეც: წოდებრივი საზღვრები წაიშალა; თუ გლეხი აქამდინ მარტო მიწის მუშა იყო, ის ახლა ახალ გზაზე გამოვიდა: ერთი ხელი ვაჭრობასა და მრეწველობას ჩაქიდა, მეორე განათლებას. თავადობამაც შეიგნო, რომ ძველებურათ ცხოვრება მას აღარ არგოდა და ნელა-ნელა დაიძრა ლუარსაბის ტახტიდან. ძველი გზიდან გადაგდებული ცხოვრება მეოთხმოცე წლებიდან მტკიცეთ დაადგა ახალს, ევროპიული ცხოვრების გზას და ამან ჩვენი ლიტერატურაც გამორკვეულ გზაზე გამოიყვანა. რეალურმა მიმართულებამ უკანასკნელ ათ წლებში გამოიღო ერთი შტო—უსიხოლოგიური, რომელიც თან-და-თან ვრცელდება ჩვენს ლიტერატურაში; მას გვერდში ამოუდგა სოციალური ლირიკა. ბოლო წლებში ჩვენს ლიტერატურას ოკუპანი დაეტყო, მას ძველი მოწყინდა, მობეზრდა, ის ახ-

ლის ძებნაშია, მაგრამ ეს ახალი ჯერ გამოურკვეველია. როგორი იქნება ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა მომავალში? ჩვენი ცხოვრება შეუჩერებლათ ვითარდება და ეს გამოიწვევს ლიტერატურის განვითარებასაც, ხოლო მასში უმთავრესი ალბადი ეკავება ფსიხოლოგიურ მიმართულებასა და საზოგადოებრივ ლირიკას. ამასვე გვიმტკიცებს ჩვენ ევროპის დღევანდელი ლიტერატურა. შექსპირის ჰამლეტი, ევროპის დღევანდელ ახალ თაობასთან შედარებით, ბედნიერი და გულმაგარი ახალგაზრდაა. მას თუ აწუხებდა თავის-თავის კრიტიკა, უიმედობა, გაუბედობა და დაუსრულებელი ყოყმანი, დღევანდელი ახალთაობა ყველა ამ სენმა დატანჯა და მოთელა: მან ყოველისფერი დაჰკარგა: წარსულიდამ აღარაფერი რწამს, მომავალში არაფერს ელის, აწმყო მას არ აკმაყოფილებს და ყოველივე ამას შედეგათ ის მოყვია, რომ ერთი ნაწილი თავისსავე გულს ასკდება, მეორე-კი გაფაციცებით ეძებს ახალს მსოფლიო შეხედულებას, რომ მით გულგამაგრებულმა იმედისა და ნუგეშის შუქი შეიტანოს თავის ცხოვრებაში და სულ მჩვარათ არ იქცეს. ამიტომ დღევანდელი ადამიანის ფსიხოლოგია ფრიათ საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ამგვარი მოვლენა შემთხვევითი-კი არ არის, ის თითქმის ყოველ საუკუნეში მეორდება და ყოველთვის ძველის უვარგისობისა და ახლის მოახლოების მომასწავებელია. ამგვარი „ურწმუნობის“ ნიშნებმა ჩვენშიაც იჩინეს თავი და აღრე თუ გვიან ეს პოეზიის სრულ კუთვნილებათ გახდება. ჩვენი ცხოვრების ნივთიერი პირობები იცვლებიან და ასეთი ცვლილების ხატვა იმგვარი მწერლების საქმეა, როგორც არიან ბ. კლდიაშვილი და ან. ერისთვისა. ცხოვრების ნივთიერი პირობების შეცვლას თან მოსდევს ადამიანის ფსიხოლოგიის, ანუ ცხოვრების სულიერი მხარის შეცვლაც და ასეთი ცვლილების ხატვა იმგვარი მწერლების საქმეა, როგორც არიან ბ. არაგვისპირელი, დეკანოზიშვილი და ევლოშვილი.

ამგვარათ, ჩვენმა ლიტერატურამ წარსული საუკუნე დაიწყო რომანტიზმით, შემდეგ გადავიდა რეალიზმზე და ის საუკუნე ფსიხოლოგიური მიმართულებითა და საზოგადოებრივი ლირიკით დააბოლოვა. რომანტიული პოეზია განიყოფება ორ ნაწილათ: სუფრულ პოეზიათ და პატრიოტულ პოეზიათ. რეალური პოეზიაც ორ ნაწილათ განიყოფება: პირველი მომხრეა იდეალიზაციისა, ტიპებისა და ცხოვრების ხატვაში, მეორე წინააღმდეგი. რეალიზმი მეოთხმოცე წლებამდე გაურკვეველ გზას ადგა, ოთხმოცი წლებიდან ის გარკვეულ გზას დაადგა. უკანასკნელს წლებში ჩვენს პოეზიას ახალი ხანა უდგება. ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა წარსული საუკუნის განმავლობაში თან-და-თან გაფართოვდა ყოველის მხრით. ლიტერატურულმა ენამაც ევოლიუცია განიცადა და ანტონ კათალიკოსის გაუგებარი და ძნელი ენა აკაკი წერეთლის მარტივ და მსუბუქ ენათ შეიცვალა.

ი. გომართელი.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის წევრთა კრება.

შპნაღის 22, მახდა სსენებუდი ამხანაგობის კრება. რაგორც მკითხველებს მოესხენება ამა ამხანაგობის კრება და ანგა-

რბი 1896 წელს შემდეგ აღარ ქონია... ჩვენ გვეკონა ახლა მანც ცენტრთ თუ ბევრათ გავეცნობით ამხანაგების საქმის მდგომარეობას, რომლის არსებობაზედ ეჭვი შექნდა, მარა ამაოდ... იმედი არ გაგვიმართლდა... სტელზე იყო ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელსაც თავში ეწერა: „მოსხენება გამგეობისა“. და ბოლოში ხელს აწერდა: „აღ. ჯაბადანი“. ამ მოსხენებაში ეწერა შემდეგი: „ამხანაგებამ აიღო რკინის გზის საქმე წელიწადში 170,000 მანეთისა, ხუთი წლით. ეს საქმე ისეთი რთული არის, რომ საჭიროა ჩვენმა გამგემ თავი დახეოს ქაღალტის გამგეობაში სამსახურს და იმსახურეს მუდმივად ამხანაგების საქმეზედ. ამისათვის საჭიროა გამგის ჯამაგირი... (წერტილები ჯამადანისა). მისთვის სადგომი სახლი (განათება-გათბობით) და წვრილად სახარჯოთ 3200 მანეთი, ექვსი წლის ვადით“. როგორც ხედავთ კრებს უნდა დაეღებინა ამ ექვსი წლის ვადით აღ. ჯაბადანის ჯამაგირი, წვრილად ხარჯისთვის 320 მანეთი და სახლი, რომელიც წელიწადში შეადგენს არა ნაკლებ 700 მანეთისა. საქმე რადგან მარტო გამგის შეეხებოდა, კრებს მან მთავრებს, რომ შე ოთხში გავაღ და თქვენ თავისუფლად ილაზმარათ და გავიდა მეორე ოთახში გვერდით... წევრები ამ საგნის შესახებ თითქმის ერთი და იგივე აზრის იყვნენ. დიდხანს ილაზმარაკეს გამგის საწინააღმდეგოთ, რომ „იგი არ ახდენს წლიურ კრებას, არ ახდენს წლიურ ანგარიშს, არ ვიცით როგორ არის ჩვენი საქმე და სხვა... ამიტომ ჩვენ არან დროს არ ვიკისრებთ მას გადაუწვივით ექვსი წლით ის ხარჯი და ჯამაგირი, რომელიც მას წარმოუდგენიაო. მხოლოდ რადგან ანგარიშს ეხებინათვის გვეზარდება, ეხებინათვეში შეიძლება მივსტკითო“ და სხვა. ამ აზრის არ იყო მხოლოდ სამი წევრი ბბ. ჭყონია, მაკვარაიანი და ჭრელაშვილი. ილაზმარაკეს აგინამც ბევრი და ბოლოს გამომხმეს ბ-ნი გამგეც, გამგემ თავი იმართლა შეუძლებელი იყო სახატო მიზეზების გამო ანგარიშის წარმოდგენა და აწი მზათ ვარ თქვენი სურვილი შევასრულოთ. ამ ორ წელში ამხანაგობას უგალოთ ექმნება ის მდიდარი სტამბა, რომელიც ახლა მთავრობა“, და სხვ .. ამის შემდეგ 15 წევრმა (სულ 20 წევრი იყო) ადგომით დაუნიშნა: 2,400 მანეთი წლიური ჯამაგირი, მოკებიდან 5% და სახლი (5 ოთახი) იმ ვადამდის, რა ვადაშიაგ რკინის გზისთან ჰირობაა შეეკრული. ხოლო წვრილად ხარჯის დახარჯვის ნება მათვე მიანდეს; „რამდენიც დატკარდეს“. ამით დასრულდა ეს ახირებული კრება შაბათს.

დამსწრე წევრი.

მკითხველთა წერილები.

ზახეთ „ცნობის ფურცლის“ 22 მარტის ნომერში ქ. ოსურგეთიდან, გურიის ამხანაგების „შუამავალი“-ს კრების შესახებ წერილს დასტამბული. ამ წერილში ვიდაც „წევრი“ დიდის „გონიერების“ რჩევით მიმართავს გურიის ამხანაგების რწმუნებულებს და გამგეობას, რომ „მართალია, ამხანაგობა დიდ განსაცდელშია, წელს ჰარკიდან დიდ ზარდას მკელის (თქლის 5,000 მან. ზარ. ხელს აფარებს წევრი?!) მკრამ ვეველა ვაჭრობა „რისკზე“ დამყარებული და ნუ გამოვცლით გამგეს და ნურც კრებას მოვანდებით“ და სხ... ამასე ჩვენ ვუპასუხებდით, რომ საბედნიეროთ ის კაცები, რომლებიც კრებას იმხვენ და ამხანაგობის საქმეში ჩადგენ, უფრო გონიერები და ამ საზოგადო საქმის შეგნებული გულ-შემატვივარი არიან, ვიდრე ამ „გონიერულ რჩევის“ ავტორი. ამიტომ ვანუგეშებთ „გონიერულ“ წერილის ავტორს, რომ კრება თუ ინიშნება, იმის სრული ღვაწლით გამგის გამგეობა არ აქვს სახელი; ვეჭვობ, რომ დღევანდელი საქმის გარემოება ვინც იცის მისი მართვა-გამგეობა ვინმემ იკისროს. მხოლოდ კრება თუ ინიშნება, ეს იმიტომ, რომ 1) მოსთხოვს ზასუსი გამგეს, რათ მოქმედებს მარტო თავის სურვილისამებრ და რათ არ ეკითხება გამგეობას? 2) რათ არ გავიდა ჰარკი, როცა აქ 8,000 მანეთი მოკება აძლიეს და კარგათ იცოდა უცხოეთში ჰარკის ფასი თვალსაჩინოთ დატეხული იყო? 3) რათ იუიდა იმდენს თესლი, რაც გურიაში არ გაიყოფოდა და იგიც სამჯერ მეტ ფასად, ვიდრე ის ღირდა? 4) რათ წავიდა სამდღვარ-გარეთ ჩუმათ, ხაზინადრის გაუგებრათ და არ დაუჯერა ხვეწნა-მუდარა არც გამგეობას, არც რევიზიის წევრებს და არც თვით ბ-ნი „გონიერულ“ მრჩეველის ავტორს—წევრს?! 5) რათ არის უფველთვის ანგარიში არეულ-დარეული და მინგრეულ-მინგრეული? 6) რათ არ ხდება წესდების და ინსტრუქციის თანახმათ უფველივე მამე? და სხვა-და-სხვა... წევრი

წმილი რედაქციის მიმართ.

ბშირათ უსაყვედურებენ ხოლმე ჩვენს საზოგადოებას ქართულ-თეატრისადმი გულ-გრილობას. საყვედური შეიძლება საფუძვლიანიც იყოს, მხოლოდ ესა თუ ის მოვლენა უმიზეზოთ როდი ხდება და ამ გულ-გრილობასაც ბევრი გამამართლებელი საბუთი აქვს. ერთი ამ საბუთთაგანი თეატრში არსებული უწესობაა. შეადგებთ თეატრის კარებს თუ არა, იქვე კასასთან ნახავთ მთელ გროვას სათავად-ანაურთ სკოლის შეგირდებისას, აქა იქ გიმნაზიის და საბაღოსნო სკოლის შეგირდებსაც შენიშნავთ და არის ერთი დაუსრულებელი დიჯ-დიჯი, უკმეზი ოხუნჯობა და აურ-ზაური. აიარეთ კიბეები, შეხვედით თეატრში: თქვენი ლოყა დატყერილია—მოუსწვრია თქვენთვის მოზარდ თავად-ანაურობას. დიდის ვაი-ვაგლახით ათავისუფლებთ ლოყას, მაგრამ აი შეესიენ მეორე ლოყას. (ბევრი დრო რა არ დაჰკარგონ, პირდაპირ გადაალაჯებენ ხოლმე დაუპატიებელი სტუმრები ერთი ლოყიდან მეორეში, მათთვის დაბრკოლება არ არსებობს). ყველა ეს ხთება მაშინ, როცა სცენაზე ფარდა აწეულია. უარესი ამბებია პარტურში: პირველი რიგის სკამები შეგირდებისგან არის დატყერილი.

სანამ ფარდა დაეშვებოდეს, ათჯერ მინც წამოცვივდებიან ადგილიდან ფოიეში გასატყრელათ; რასაკვირველია, უნდა ადგე, გზამისცე, მერე ისევ გაატარო და ხარ ერთ ტანჯვაში, სანამ ფარდა დაეშვებოდეს. დაეშო ფარდა და შექნა მოზარდ-თაობამ ტაშის ცემა, სკამების ბრახუნი, საშინელი ხმით ღრიალი; ყურთა სმენა აღარ არის. ამ ჯოჯოხეთურ ფერხულს ბევრი ვერ იტანს და პირველ აქტ-ზედვე იძულებულია თეატრი დატოვოს და სახლში წავიდეს. ერთი მადლიანი კაცი არ არის, რომ შეაჩეროს ბავშვების თავ-გასულობა და საზოგადოების ინტერესთან ერთათ თეატრის რენომეც დაიცოს.

სასურველია, ან თეატრის ადმინისტრაციამ ან სამოსწავლო მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ერთი მიზეზთაგანი საზოგადოების გულ-გრილობისა თეატრისადმი როგორმე მოსპონ.

თეატრში მოსიარულე.

შეცდომის გასწორება

„კვადის“ უკანასკნელ ნომერში გვ. 278 მეორე სვეტში დაბეჭდილია: „მის გაგლენას აღ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც-კი ვერ აცდენ“. უნდა იყოს „მის გაგლენას ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც-კი ვერ აცდენ“.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი .

ქართული დრამატული საზოგადოება

კვირას, 29 აპრილს 1901 წელს

გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის „**პაპოს**“ 30 წლის სახსრად

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

საღმრთალო წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება

პ ე პ ლ

კომ. 3 მოქმ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

შოთაშენი, ქქ. სიფარავისა, გაბუნია-ცაგარედი, ნუბერიძე;

ბბ. აბაშიძე, ვიფანი, მესხი, სვიმინიძე, გედევანაძე და სხვ.

წარმოდგენის უამრავი

„პეპოს“ ავტორის გ. ნ. სუნდუკიანცის პატივის საცემად გაიმართება

ჭ ა ქ ტ ი ჭ

დასაწყისი სწოთედ 8¹/₂, საათზე.

გამგენი: გ. აბაშიძე და კ. მესხი.

თფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი სავინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-ღღე, კვირა დღეებს გარდა. დ ი ლ ი თ :

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მახედა გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—2.

ა. ნ. შატღვაძე—თვალისა, 11—12 საათ.

ეკიმა ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა, 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1.

მ. გ. ბუბარგანაძე—შინაგანი და ბავშვებისა, 1—2.

გ. ლ. შარკვეთი—საქირურგო, 12¹/₂—1¹/₂ საათ., სამშობათობით 3—4.

ი. დ. ბუგთაბუგვაძე—სიფილისისა, კანისა და საშარ-დესი—1¹/₂—2 საათ.

ს ა ღ ა მ რ თ ი :

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. ა. ბუღვაძე—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევა, 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ლ ი თ ი :

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავადმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. თესი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრატე 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრატე ღარიბთათვის უფასოა.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ი ვ ე რ ი ა მ“

რომელსაც საგნათ აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მად-ნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავ-თიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნიაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლათ და მკვიდრ ნია-დაგზე დასამყარებლათ, ამხანაგობამ საჭიროთ სცნო, ძი-რითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **და-მატებითი** პაეტი, თითო პაი 100 მან. ღირებულს.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებული, უმორჩილესათ ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შედენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდგენის აღრესით:

Въ гор. Баку. Князю Юсифу Юлоновичу Дадіани. Въ Контору Торгово-промышленнаго Товарищества „ИВЕРІЯ“, по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე აღრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟენერნი:

{	თ. ი. ი. დალიანი
	თ. დ. გ. ჯორჯაძე
	პ. ვ. ბრაილოვსკი.

(5—4)



საბოლოო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებანა გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს **გაზარ-თოვანული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციასაგან: რადგანაც ახალწლიდან „კვა-ლის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში ჩადგა, ამი-სათვის შესაძლებლად ვცანით გაზეთის სივრცით გა-ფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შე-მოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაბეჭდება მეტწა-მეტე საუკუნის ევკლას შესანიშნავ მადგაწყეთა სურათები (ევრატის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს: თბილისში—7 მან., თბილისს გარეთ—8 მან.; ნახევარი წლით: თბილისში—3 მან. 50 კ., თფილისს გარეთ—4 მ., ხოლო სამი თვით—2 მ. თითო ნო-მერი—სამ შაურათ.

ხელის-მომწერებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—წერა-კით. გამოვ. საზოგ. კანცელარიაში (სახანლის ქ., სათავ.-აზნ. ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (საპიორის ქ. № 15, ალექსანდრო-ვის ბაღის ახლო.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზია-ში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთსა და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ქიათურაში—კ. მოღდებაძესთან და ყვირილაში—ივანე არღიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“.

открыта подписка на 1901 годъ
на еженедѣльную газету

П Р А В О

Выходящую съезъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена, и Н. И. Лазаревскаго, при ближайшемъ участіи І. В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Камника, В. Д. Набокова, проф. Л. І. Петражицкаго и пр.-доц. В. М. Устинова, по прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеній: Сборникъ рѣшеній Кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правительствующаго Сената и „Закондательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ помѣщены все распубликованныя въ 1901 г. общія узаконенія, подлежащія внесенію въ Сводъ Законовъ и тѣ указы Пр. Сената и административныя распоряженія, которые представляютъ существенное значеніе для разъясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Права“ бесплатные

ответы (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы. Въ теченіе 1899 и 1900 гг. въ газетѣ Право помѣстили статьи и замѣтки слѣдующія лица:

К. К. Арсеньевъ, М. Бейлинъ, В. Л. Бинштокъ, А. Л. Боровиковскій, В. І. Борткевичъ, А. Бугаевскій, Г. А. Бѣлковскій, пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Вербловскій, М. М. Винаверъ, Ах. Н. Вольскій, проф. А. К. Вульфбертъ, Л. В. Гантоверъ, М. И. Ганфманъ, В. Л. Глинка, М. С. Гольденвейзеръ, проф. А. Х. Гольмстенъ, прив.-доц. М. Э. Горенбергъ, Я. К. Городскій, dr. Hans Gross, М. О. Грузенбергъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, И. С. Денисьевъ, Гр. А. Джаншиевъ, И. Дружина, проф. Н. Л. Дювернуа, В. Б. Ельшевичъ, прив.-доц. А. А. Жижиленко, К. П. Змировъ, проф. И. А. Ивановскій, Б. Кетричъ, проф. В. Д. Кузьминъ-Каравасвъ, Д. А. Левинъ, Д. Д. Лобановъ, М. А. Лозина-Лозинскій, В. О. Люстихъ, Д. Н. Манделъштамъ, М. С. Маргулиесъ, П. Г. Мироновъ, І. В. Михайловскій, Д. Я. Исрагаменъ, В. Михалевицъ, Э. М. Моргулиесъ, проф. С. А. Муромцевъ, М. И. Мышь, В. А. Мякотинъ, прив.-доц. С. П. Никоновъ, dr. Oertmann, Ф. И. Осецкій, М. Г. Осинскій, П. Э. Панкратьевъ, пр.-доц. М. Я. Пергаментъ, пр.-доц. А. А. Пилленко, С. Ф. Плагоновъ, П. А. Потъхинъ, И. М. Рабинъ-вичъ, Ф. И. Родичевъ, прив.-доц. Н. Н. Розинъ, М. И. Свѣшниковъ, В. И. Семевскій, В. Д. Съасовичъ, Е. Н. Тарновскій, П. А. Тулубъ, Г. Тумановъ, И. М. Тютрюмовъ, И. О. Фесенко, проф. И. Я. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, И. Д. Чистяковъ, К. В. Шавровъ, Б. В. Шалландъ пр.Г.Ф. Шершеневичъ, Вл.Шлезингеръ, Гр.И. Шрейдеръ.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно-административной практикою, а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципиальный интересъ, причемъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г., въ „Правѣ“ помѣщались отчеты о всѣхъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сената.

Подписная цѣна; на годъ съ доставкою и пересылкою 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка; при подпискѣ 4 р. и къ 1 мая 3 р. За границу на годъ—10 руб. Отдѣльные номера продаются по 20 коп.

Главная контора: С. Петербургъ, Дмитровскій пер., № 6.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ иллюстриров. ЭКОНОМИЧЕСКІЙ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЙ журналъ

ХОЗЯЙСТВО

VIII г. изд.

VIII г. изд.

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ.

Подписчики въ 1901 году получаютъ бесплатно слѣдующія 6 „Книжечъ Хозяйства“:

- 1) Земство, какъ органъ сельскохозяйственной жизни. В. Г. Земскаго.
- 2) Культура масличныхъ и волокнистыхъ растений. Д-ра А. Бломейра. Съ рисун. 19
- 3) Улучшеніе скота и уходъ за нимъ. Проф. И. Г. Гершенъ, Петербургъ. М. Н. Гронера.
- 4) Примѣненіе искусственныхъ удобреній Д-ра И. Вагнера (съ 128 рисунками).
- 5) Сельскохозяйственные постройки. М. Рингельмана. Съ дополненіями гражд. инж. Э. Г. Шерримонда. 250 рисунковъ.
- 6) Сельскохозяйственное счетоводство.


Въ 1900 г., между прочимъ, были помѣщены статьи: И. И. Абоина, проф. Богданова, проф. А. И. Воейкова, И. М. Кабаштова, проф. П. С. Косовича, проф. И. Левичкаго, П. Л. Пахомова, проф. Д. Н. Приличникова, А. А. Радцига, И. О. Шаглова, проф. И. О. Широкихъ, и др. Въ каждомъ номерѣ: Передовыя статьи—ред.; обзоры сельскохозяйств. дѣятельн. земства—В. Г. Земскаго, обзорно-научно-хоз. лит.—М. А. Эшслердта.

На годъ 6 руб. на полгода 3 руб. съ перес. Разсрочка по 1 руб. въ первые 6 мѣс. Изд. И. А. Машковцевъ. Петербургъ, Невскій, д. 28.

სამკერავი

საკერავი

ისყიდება თფილისში მხოლოდ გოლოგინის



ზინგერის

მაშინები

პროსპექტზე, მირიმანოვის შენობაში.

ზინგერის ამხანაგობის

თ ვ ი თ ა უ ლ საკერავ მაშინას

აქვს ამისთანა ნიშანი



უამნიშნოთ

მაშინა

ნამდვილი ზინგერის.

ეკვს გარეშეა, რომ ყველა მოვაჭრე ცდილობდა და ცდილობს ისარგებლოს „ზინგერის“ სახელით, რომ ამით გაასაღონ თავიანთი მაშინები, უამისოთ-კი მათი მაშინების გასაღება შეუძლებელია. მათი განზრახვაა მოატყუილონ მუშტარი და ამიტომ მალევენ თავიანთ მაშინების ფაბრიკანტებს. აქებენ თავ ანთ მაშინებს, მუშტარს არწმუნებენ, რომ იმათი მაშინა ნამდვილი „ზინგერისა“ და ამხ. ფაბრიკისაა. „ნატალის ზინგერის“ და სხვად წოდებული მაშინები არ არის ჩვენი ფაბრიკისა.

(3-1)

სამანუშაქტურო ამხანაგოა ზინგერის.